1143/13-341

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურჯი ეროვნებისა

1996 წელი 6(11) ივნისი • BURJI EROVNEBISA • ფასი 40 თეთრი

მოდიოდა ნინო მთებით

ლურჯ მწვერვალებს
ქარი რძისფერ ნისლში
ხვევდა...
და, როდესაც ბარში
ვარდნი ყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის
მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები
ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი
ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა
ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით
მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის
ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო
მგზავრი, —
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი

მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: რომელია
ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:—
საქართველო არის ესე...
მიეძინა... ერთ
წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან
მოუჩრდილეს; ო,
ეს ვინ არი, გამოცხადდა
მგზავრის წინა?
„ნუ გეშინინ!“ —
მიუგებდა იესო...
გაეღვიძა... წუთით
იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...

ანა კალანდაძე

მადლობას მოვახსენებთ ფირმა „კაქტუსს“ (პრეზიდენტი ბატონი დიდიმ სტურუა) ჩვენი რედაქციისადმი გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის.

ბესარიონ ჯორბენაძის
საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ფუმბურიძე

დირექტორი
კახა გაბუნია

კასუხისმგებელი მდივანი
ჯაბუკა ქირია

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქტორები:
ძეთევან დათუკიშვილი,
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკოლნიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ძერწაძე,
ნინო ფუმბურიძე

რედაქციის მამაგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჯულაძე,
ლეილა გეგეჭკორი,
კორნელი დანელია,
მანანა კობაიძე,
რუსუდან ლანდია
ნანა ურთაშვილი
მიხეილ ძერწიანი,
ლევან ღვინჯილია,
გიორგი ფიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
რამაზ ძერწაძე

გაზეთი „ბერჯი
ეროვნებისა“
რეგისტრირებულია
საქართველოს
იუსტიციის
სამინისტროში, № 1686

მისამართი:
ქ. ინგოროყვას
ქ. №8

გრძნობა ენის მოვლისა

ენა, როგორც ცნობილია, მუდმივცვალებადი და განვითარებადი ფენომენია. ამიტომ წარმოუდგენელია იმისი ეტაპი, როდესაც ენის „ბუნებაში“ ყველაფერი ისე იქნება მოგვარებული, რომ საზრუნავი აღარაფერი დარჩეს. პირიქით— რაც უფრო აქტიურად მონაწილეობს ენა სახოგადოების ცხოვრებაში და აზროვნების განვითარებაში, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება პრობლემათა სპექტრი.

გასონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ქართული ენა. ამიტომ პრობლემათა არსებობა არც გასაკვირია და არც პანიკის საფუძველს იძლევა. უკანასკნელი საუკუნეახევრის მანძილზე ქართულმა ენამ განვითარების ისეთი მკაცრი საფუძვლები მოიპოვა და ისეთ დონეს მიაღწია, რომ ამ საფუძვლების შერყევა ძალა ფეხს არ არსებობს. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ყოველდღიური საზრუნავი უკურადღებოდ უნდა დარჩეს. ყველაფერს დროული რეაქცია ჭირდება, რათა დაგვიანების გამო წერილში მსხვილშალად არ იქცეს.

ზოგჯერ გარეულების წყაროდ გვევლინება ისეთი სუბიექტური ფაქტორი, როგორიცაა მუშაობის არაორგანიზებულობა, მაგალითად, ნაფიქრალად მეცნიერების მოუქნელი მუშაობის შედეგია, რომ ქართულ ენათმეცნიერებაში მრავალი კონკრეტული, ყოველდღიურად საჭირო და აქტუალური საკითხის (მორფოლოგიაში, სინტაქსში, სტილისტიკაში, პუნქტუაციაში, ორთოგრაფიაში) გადაწყვეტა ათეული წლებით ჭიანურდება, რაც ზიანს აყენებს როგორც ახალგაზრდობის ენობრივ მოზრდილობას, ისე თეორიული გამოკვლევების ხარისხს. სრულიად გასაგებია, რომ მეცნიერება კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე არ განვითარდება. მაგრამ რა აზრი აქვს გაუთავებელ კამათს ისეთ საკითხებზე, რომელიც გადაწყვეტის პერსპექტივაც კი არ არსებობს? პრინციპი „მე ასე მიმაჩნია“, რომელიც, საბუნებრივად, ხშირად იქცევა კამათის მთავარ მოტივად, ასევე ხშირად იხარება ელემენტარული უფლების დაფარვის ხერხად. ენის პრაგმატული ხედვა ვერ იტანს შერყეულობას, იქ ყველაფერი გარკვეული და დადგენილი უნდა იყოს. მაშინ შეცდომის შეშფოთებაც გაითლდება და მისი გამოსწორებაც, დასანანია, რომ სასკოლო ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის საკითხები დიდი ხანია მიაგვარეს ისეთი რიგული მართლწერის ენებმა, როგორიცაა ინგლისური, ფრანგული, რუსული, პოლონური, ფინური, ხოლო ქართულში, რომელსაც თითქოს იდეალური ანბანი გააჩნია, ფლესაც კამათობენ ზმნის პირის ნიშნების ან სხვა მსგავსი პრობლემის თაობაზე. ან თუ ყველაფერი დადგენილია, რატომ არ სრულდება? ვინ და რა უფლებით აცხადებს, „მე ასე მიმაჩნია“?

ნორმების დადგენა და სავალდებულო დაცვა ხომ ენის პოზიციის სიმტკიცის ერთ-ერთი მაწყვეტელია.

მცდარი აზრია (და საზიანოც!), როცა ფიქრობენ, რომ ადამიანს შეიძლება ძალდატანებით შეაყვარო და შეასწავლო ენა. ენას სწავლობენ, როცა ამის საჭიროებას გრძნობენ (სხვა ამბავია რამ გამოიწვია ეს საჭიროება). ეს კარგად ჩანს მაშინ, როცა მრავალეროვან სახოგადოებაში, რომელიმე ეთნოსის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ. ასეთ პირობებში რომ არ მოხდეს სახელმწიფო ენის ფუნქციების შეზღუდვა, საჭიროა საქმე ისე გაკეთდეს, რომ ადამიანი საკუთარი ხელისუფლებისა და [illegible] ქვეყნის სახელმწიფო ენის შესწავლას, რისი ცოდნაც მისთვის გამოსადეგი და საინტერესო იქნება. ეს შექმნის წარმატების აუცილებელ განწყობას, ხოლო, როგორც ცნობილია, დიდი ქართველი მეცნიერის დ. უსნაძის განწყობის თეორია მიგვეს მოდელითაა აღიარებული, როგორც საქმის წარმატებით გასრულების საფუძველია საფუძველი.

სახელმწიფო ენის პოზიციების განმტკიცებისათვის ყველაზე შედეგიანია კარგად მოფიქრებული, კეთილგანწყობაზე აგებული ურთიერთობა და ზრუნვა, ორგანიზაციული და მატერიალურ-მეთოდური უზრუნველყოფა. ეს მუდმივი და ხანგრძლივი საქმე გაცილებით მეტ დაფიქრებასა და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე რაიმე ერთეულადი კამპანიური წამოწყება, და ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილური საზრუნავია (გაიხსენოთ თუნდაც, რა ხმაურით მიეცეა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ და რა უშედეგოდ ჩაცხრა).

აშკარად შესაშფოთებელია, როდესაც ბევრ არაქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურისათვის განკუთვნილი საათები სულ სხვა რამეზე იხარჯება მასწავლებლების არყოფნის გამო — არ მიდიან ქართველი ახალგაზრდა ფილოლოგები ამ არაქართულ სკოლებში სამუშაოდ, ათასგვარ სამაბს იფარებენ ფარად და წარმატებითაც. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი წლის შემდეგ შედგება ორენოვანი სპეციალისტების გამოშვება. ღმერთმა ქნას, რომ მათ მაინც გაამართლონ იმედი და მშობლიურ ოვალთა შეიდონ საქართველოს ამ რაიონებს, სადაც ქართულ სიტყვას სხვა პატრონი არა ჰყავს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც უკვე მწვავედ იგრძნობა. ეს არის ინგლისურენოვანი ბარბარიზმების აგრესიული შემოტევა. ნახეთ, რა ხდება მეტროში, ქუჩებში, მოედნებზე, რეკლამებში, სავაჭრო ობიექტებში. იქ ინგლისურმა უკვე გამოდევნა ქართული და მისი ადგილი დაიკავა. ასე გვგონია, თითქოს სახელმწიფო ენა ინგლისურია და არა ქართული. ამ ნაოქამს უფალი ხელმობად ნუ ჩაიდენთ. მიხედეთ, რა მონდომებით ეროვნულად ქართველები (განსაკუთრებით ფულიანები) თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს არაქართულენოვან ბაღებში, სკოლებში, დაწესებულებებში, ქუჩებში და გათავესეთ შესაძლო შედეგი 20—25 წლის შემდეგ. პერსპექტივა აშკარად დამაფრთხილებელი ჩანს.

ნუთუ ისტორია სულ დაგვავიწყდა?

ნუთუ ვერ ურევი უნდა გადაბრუნდეს?

და კიდევ ერთი რამ: არსებობს უმაღლესი რანგისა და ავტორიტეტის მქონე „ქართული ენის სახელმწიფო კომისია“, რომელსაც უსარგებლო საქმის გაკეთება ძალუძს. ხომ არ მოხერხდებოდა, ამ კომისიას ეკისრა მის მიერვე დადგენილი ნორმების შესრულების ეფექტური კონტროლი? შედეგი, ეჭვერომ, საგრძნობი იქნებოდა.

P.S. იქნებ, ეინმემ მწარედ ჩაიცინოს, რა დროს ეგ არის, ხალხს პური და წყალი ენატრება, მაგრამ აქ ხომ ბრალი ენას არ მიუძღვის. ისევ მაინც მოვუაროთ, რის მოლაც ჯერ კიდევ შეგვიძლია.

გიორგი ფიბახაშვილი

ადიდებს სული ჩემი უფალსა

19 მაისი (ახალი სტილით 1 ივნისი) — საქართველოში შემოსვლა წმიდისა დედისა ჩვენისა, მოციქულთასწორისა ქალწულისა ნინოსი.

20 მაისი (ახალი სტილით 2 ივნისი) — სულიწმიდის გარდამოსვლა, სულთმოფენობა.

წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში

მოციქულთასწორი და ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო იყო კაბადოკელი. წმიდა გიორგის ბიძაშვილი. მისი შობლები ღრმადმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, ხოლო ბიძა, დედის ძმა იყო იერუსალიმის პატრიარქი.

თორმეტი წლის რომ გახდა ნინო, შობლებმა გაიყვეს ყველაფერი და წავიდნენ იერუსალიმში. ნინოს მამა, ზაბულონი დაშორდა ცოლ-შვილს და „წარვიდა წიაღ თორდანისა კაცთა მათთანა ღუთისათჳს ეკლესიაჲ-ბნელთა და კაცთაგან განშორებულთა“.

დედა ნინოსი „მისცა პატრიარქსნ მსახურებად ეკლესიაჲთა დედათა და უძღურთა“ და წმ. ნინო „მსახურებდა ნიამორსა სიმხნეთა ფიონელთა ორწელ“.

სარა ნიამორი ძველი და ახალი ხელის ზედმიწევნით მცოდნე იყო. ის ასწავლიდა ნინოს ქრისტეს ცხოვრებას და გარეკლარტავდა საღვთო ხელოვნებას. მანვე უამბო გიორგოს უფლის კერპთა შესახებ: „სამოველსა მისსა ზედა წილი იყოს, მეცა და ჯუდა წილითა მთა ჩრდილოეთსა მცხოველთა მოჰალაქეთა“.

წმიდა ნინო ღმერთს ევედრებოდა, საუფლო კარიოს სასრულამდე თავგანსაცდელ ეწყალობენა მისთვის. ძილში ყოველადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ქალწულს და მოუწოდა „წარვედ ქუეყანად ჩრდილოეთსა და უქადაგე სახარება ძისა ჩემისა, და ჰმოო შენ მადლი წინაშე ღმერთისა, და მე ვიყო მფარველი და ხელისმპყრობელი შენი“. ნინომ თავმდაბლურად ითხოა: „ესეცა ეითარ ეტყოს მოციქულთა ტკბილთსა? მაშინ დედა ღვთისამ ეახის ჯვარი უბოძა: „ესე იყოს მცველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინააღმდგომთა შენთა და წარემართოს ქადაგება შენი, და მე ვიყო შენთანა და არა დაგიტეო შენ“.

წმიდა ნინო პატრიარქს ბიძის ლოცვითა და კურთხევით გაეგზავნა ეფესელ ლტოლვილ ქალებთან ერთად ჯერ რომის სამეფოში და შემდგ ქართლში. გზად ბევრი განსაცდელი შეხვდა მოციქულთასწორს, მისი თანამგზავრები ხიზეთში შეიპყრეს და ბევრი აწამეს კიდეც. თვით ნინო სასწაულებრივ გადარჩა საკუდილს; ვარდის ბუჩქში დასხლეტამ ჩვენება იხილა მოაყვდიანის სახით, რომელიც „ნათლისა ოლარითა მოსილი“ იყო და ხელში სასაკვეთე ეჭირა, „რომლისა კუამლის სახე სუნნელება დაპყარედა ცათა“. გიორგიებულს ნინომ შეპალიდა: „უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქენეთა“. მაშინ ზეციდან ხმა მოისმა და მოუწოდა უფალმა ქალწულს: „აღდეგ და ვედრე ჩრდილოთ კერძი, სადა იგი ფრიად არს საქალი, ხოლო მუშაკი ყოველად არა“.

ნინომ დიდი წვალების შემდეგ მაღრეს ველაჰეთის მოვიდა, შეჭერდა ფარავნის ტბასთან და ივნისის თვეში „აღერთა სასტიკთა“ და თოვლიანი მიების ხელეთ შეჩერებულმა თქა: „უფალო, უფალო, მიოე სული ჩემი ჩემგან“. ორი დღე ფარავნის ტბასთან გაატარა წმიდა ქალწულმა და მწყემსებისაგან შეიტყო, რომ უკვე ქართლის მიწაზე იყო. მცხეთის გზაც მათ ასწავლეს.

ძილში ისევ იხილა წმინდანმა ჩვენება: ქრისტეს ბეჭედი დაბეჭდილი წიგნი მისცა უცნობმა კაცმა, მცხეთაში მაირეკ წარმართთა მეფესო. წმიდა ნინომ ტირილითა და ვედრებით მიმართა: „მე. უფალო, ვედრაცი ეარ უცხოჲ და უმეცარი და არცა ენასა მეტყველად მეცნიერ ეარ და ვითარ მიოე უცხოსა ქუეყანასა და კაცთა მათ თანა უცხო თესლთაო“.

მაშინ უცნობმა კაცმა წაიკითხა წმ. ნინოს წიგნში დაწერილი „ათონ ხატეკანი მზეაჰაფე ფიცართა მათ ქუსთა მოსეს ზე“. ეს იყო საღვთო წერილი განმტკიცებული მოწოდება ქრისტეს სახარების საქადაგებლად. ეწერებოდა ასე:

ა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუცა ითქოდის ვედრაცი ესე (მათე 26,13).

ბ. არცა მასაკეცებ, არცა ვედრაკეცებ, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ. (გალ. ეპისტ. 3,28.)

წმიდა ნინო დარწმუნდა, რომ „ზეცით იყო ჩუენება ესე“, ითხოვა ღვთისგან შეწყენა და გაემართა მცხეთისაკენ, გაჰყვა მდინარეს და ვიდრე მაღრეკამდა ქალაქს „ეკეთხეა ხიზეულ გზათა და ხოვიცხ. მიშნი მზეცთაგან და ფრიადნი ჭირნი“. და მიეიდა წმ. ნინო ურბნისს. დაყო იქ ერთი თვე და იქაურებს გაუკეთა მცხეთაში.

წმიდა ნინოს ხსენებას ორჯერ ეზეიმობთ: 14 იანვარს (ახალი სტილით 27 იანვარს) და 19 მაისს (ახალი სტილით 1 ივნისს).

საქართველოში შემოსვლას წმიდისა ედიოს ჩვენია, მოციქულთასწორისა ქალწულისა ნინოსი ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს 1984 წლის 19 მაისიდან (ახალი სტილით 1 ივნისიდან).

სულიწმიდის გარდამოსვლა

ქრისტეს მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლა — სულთმოფენობა აღთქმისეულიდან ერთ-ერთი მეძრავი დღესასწაული. ებრაელთა მას ეახლა ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, კვირას.

სულიწმიდა წმიდა სამების წევრია, რომელიც „მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების“ და მათი თანასწორი და თანაარსია.

მაცხოვარი თაეისი ჯვარცმის წინ მოწაფეებს შეაჭირდა, „არა დაგიტეე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა“ (იოანე 14,18) და აღუთქა, რომ მოუვლენდა მათ სხვა ნუგეშინისმცემელს — სულიწმიდას. „და მე ეკითხო მამასა ჩემსა, და სხეაჲ ნუგეშინისმცემელი მოგჳვლინოს თქუენ, რაჲთა თქუენ თანა დაადგრეს უკუნისამდე (იოანე 14,16).

მაცხოვარი აღდგომიდან ამაღლებამდე ხშირად ეცხადებოდა თაეის მოწაფეებს და ამხნევებდა მათ: „და ამა ესერა მე მოგიღონო თქუენ აღთქუმაჲ იგი მამისა ჩემისაჲ, ხოლო თქუენ დახედით ქალაქსა ამას შინა იერუსალემსა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მაღლით (ლუკა 24,49).

მაცხოვარმა იესო ქრისტემ სულიწმიდა გარდამოუვლინა თაეის მოწაფეებს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს. ამ დროს იყო ებრაელთა დიდი დღესასწაული — ერგასი (ორმოცდაათი). მოსე წინასწარმეტყველი ებრაელებს ეგვიპტედან რომ გამოუძღვა, ისინი მეორეთკენ დღეს მიეყვანა სინას მთასთან, ხოლო ორმოცდამეათე დღეს მისცა ღვთაებრივი სჯული ძველი აღთქმისა. ებრაელთაგან უდიდეს ყოველწლიური დღესასწაული იყო. მაცხოვარმა სწორედ ამ დღეს მოუვლინა სულიწმიდის მადლი თაეის მოწაფეებს, რაც ძველი სჯულის ახალი შეცვლის ნიშანი იყო.

ეს ითვლება ქრისტეს მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსების დღედ, რადგან მართლმადიდებლურ ეკლესიას ქრისტე მართეს სულიწმიდის ძალით.

მოციქულები მოელოდნენ მაცხოვრისაგან აღთქმულ სულიწმიდას და შეკრებილნი იყვნენ ერთ სახლში. მოულოდნელად მოისმა ზეციდან ხმა, „ეითარცა მოწეული ქარისა სასტიკისაჲ, და აღეესო ყოველი იგი სახლი, სადა იგი იყვნენ მსხდომარე“ (საქმე 2,2). შემდგ გამოჩნდა ცეცხლის ენები და თითოეულ მათგან დაადგა. „და აღეესნენ ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს ხმიერად უცხოთა ენათა, ეითარცა სული იგი მოსცემდა მათ“.

მოწაფეებმა დაიწყეს ქადაგება სხვადასხვა ენაზე. სულიწმიდის მადლი ქრისტეს 120 მოწაფეზე გადმოვიდა, მაგრამ უკვე პირველ დღეს წმ. პეტრეს პირველივე ქადაგებამ 3000 კაცი მოაქცია.

წმიდა მოციქულებს მიენიჭა, როგორც მაცხოვარმა ბრძანა, „სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელსა ვერ ეძლო-ეფოფოდის მოუკადად, რამეთუ არა ჰხედავს მას, არცა იცის იგი, ხოლო თქუენ იცით იგი, რამეთუ თქუენ თანა არს და თქუენ თანა იყო“(იოანე 14,17).

სულიწმიდამ მოციქულებს მიანიჭა განსაკუთრებული მადლი და უნარი, რათა ექადაგათ და სახარების ჭეშმარიტება მეტანათ თითოეული მორწმუნის გულამდე.

„მას დღეს შინა სცნათ თქუენ რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის“ (იოანე 14,20) — აუხსნა მოწაფეებს მაცხოვარმა.

სულთმოფენობის დღესასწაულის შემდეგი კვირა არის მზეგუეხი — ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია. მზეგუეხის შემდეგ იწყება პეტრე-პაულობის მარხვა.

სულთმოფენობის დღეს მწუხრის ლოცვაზე იკითხება მუხლმოდრეკის ლოცვა. რადგან აღდგომიდან სულთმოფენობამდე მუხლს არ ვიდრეკთ ისევე, როგორც შეშუბუქებულია ლოცვები და მარხვა.

რუბრიკას შეადგენდა
ნინო კვანტალიანი.

აი. ისტორია

აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანეში

„ქართლის ცხოვრებაში" შემავალ თხზულებათაგან „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასალისა", რომელშიც აღწერილია საქართველოს ისტორია ახ.წ. V საუკუნიდან VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, მიეწერება ჯუანშერ ჯუანშერიანს. სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრით, ჯუანშერი VIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, სხვები კი XI საუკუნის ავტორად სახავენ. დასახელებული მატიანე პირველია „ქართლის ცხოვრების" შემადგენელ თხზულებათა შორის იმ მხრივ, რომ მასში ტერმინი „აფხაზეთი" სისტემებრ გამოიყენება, მის წინამავალ სამ მატიანეში, ლეონტი მროველის სახელს რომ მიეწერება, ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული და იოანე ჯავახიშვილს ის ადგილიც გვიანდელ ჩანართად მიაჩნდა, სახელი „აფხაზეთი" ჯუანშერის სახელითა ცნობილ მატიანეში სულ 13-ჯერ დასტურდება და აქვს ორი მნიშვნელობა: 1. აღნიშნავს საკუთრივ აფხაზეთს, რომლის საზღვრები არ ემთხვეოდა ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებს; 2. აღნიშნავს მთელს დასავლეთ საქართველოს ან მის უდიდეს ნაწილს. ტექსტში V—VIII საუკუნეთა ამბების აღწერისას ტერმინ „აფხაზეთის" მეორე, უართო მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები ბადებს ეჭვს სათანადო ადგილების ავტორისეულობის შესახებ, რადგან თუკი ჯუანშერი ცხოვრობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ ტექსტის ეს ადგილები არ შეიძლებოდა მას დაეწერა. ცნობილია, რომ იმ დროს, ე.ი. VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ტერმინი „აფხაზეთი" ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად. ტერმინმა ამგვარი შინაარსი 797-802 წლებს შორის ლეონ მეორის მიერ ე.წ. „აფხაზეთის სამეფოს" შექმნისა და სატახტო ქალაქად ქუთაისის ქცევის შემდგომ ხანებში მიიღო. VIII საუკუნეში მცხოვრები პირისაგან „აფხაზეთის" ამგვარი მნიშვნელობით გამოყენება არაბუნებრივი და მოულოდნელია. იმ შემთხვევაში კი, თუკი ჯუანშერი XI საუკუნის მოღვაწე იყო, ასეთი რამ ახსნადია: შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჯუანშერი თავისი თანამედროვე, XI საუკუნის ვითარების ზეგავლენით იყენებდა ტერმინ „აფხაზეთს" V—VIII საუკუნეთა ამბების აღწერის დროს (XI საუკუნეში „აფხაზეთის" გამოყენება მთელი დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად უკვე კარგა ხნის ტრადიცია იყო).

საკითხის გასარკვევად, ქართული დედნის მონაკვეთებზე დაკვირვების გარდა, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების" ძველსომხურ თარგმანს, რომელიც შესრულებულია XII საუკუნის მეორე ნახევარში. ეს თარგმანი, დროის თვალსაზრისით, წინ უსწრებს XV საუკუნეში გადაწერილ „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ ხელნაწერს — ანა დედოფლისეულ ნუსხას. მაშასადამე, თუ ტერმინ „აფხაზეთის" უართო მნიშვნელობით გამოყენება, მართლაც, ავტორისეულია, ე.ი. XI საუკუნით თარიღდება, მაშინ ეს ტერმინი იმავე მნიშვნელობით აუცილებლად უნდა დასტურდებოდეს სომხურ თარგმანშიც, ხოლო თუ ჯუანშერი VIII ან XI საუკუნის ავტორია, მაგრამ პირადად მას კი არ უხმარია ტერმინი" „აფხაზეთი" V—VIII საუკუნეთათვის შეუფერებელი მნიშვნელობით, არამედ მის შემდეგ მოხდა ტექსტის შეესება-რედაქტირება, მაშინ ორი შესაძლებლობაა მოსალოდნელი: 1. ქართული ტექსტის XII საუკუნის II ნახევრამდე რედაქტირების შემთხვევაში ტერმინი „აფხაზეთი" სომხურ თარგმანშიც ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული; 2. ქართული ტექსტის XII საუკუნის II ნახევრის მერე, ანუ სომხურად მისი თარგმნის შემდეგ, რედაქტირების შემთხვევაში, სომხურ თარგმანში ამგვარი ფაქტი არ უნდა დასტურდებოდეს.

რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების" ანასეულ ნუსხასა და ძველსომხურ თარგმანში?

V საუკუნის 60-იან წლებში („ქართლის ცხოვრების" ბარათაშვილისა და ფალავანდიშვილისეულ ნუსხათა მიხედვით— 467 წელს) ვახტანგ გორგასალი ათი წლისა ყოფილა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს თავს დასხმიან ოსები, მოუოხრებიათ ქვეყანა და სხვებთან ერთად ტყვედ წაუყვანიათ ვახტანგის სამი ნლის და. ამ ამბის აღწერის შემდეგ ტექსტში წერია: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთად,რამეთუ ბერძენთა პჟონდა ეგრისწყალს ქუეშოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხეგოჯამდე" (იხ. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. 1942, გვ. 94). ამ ადგილის მიხედვით „აფხაზეთი" აღნიშნავს არა საკუთრივ აფხაზეთს, არამედ მთელს დასავლეთ საქართველოს თუ არა, ამჟამინდელი სამეგრელოს უდიდეს ნაწილს მაინც სენაკის რაიონში მდებარე ნოქალაქევ-ციხეგოჯამდე, ხოლო ეგრისწყალ-ღალიძგა ბერძენთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარია. V საუკუნეში კი ამ ტერიტორიას არაფერით შეიძლებოდა აფხაზეთი რქმეოდა. ეს შეუსაბამობა შეუმჩნეველია „ქართლის ცხოვრების „ტექსტის გამომცემელს, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს და ანა დედოფლისეული ნუსხის „აფხაზეთად" (ე.ი. აფხაზეთში) ფორმა სქოლიოში ჩაუტანია, ძირითად ტექსტში კი ჩაუწერია მის მიერვე აღდგენილი „აფხაზეთით" (ე.ი. აფხაზეთიდან) ფორმა. ამ, თითქოსდა, ლოგიკურ ჩასწორებას გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვა— ტექსტის აზრი რადიკალურად შეიცვალა: თუ ანასეული ნუსხა მიუთითებდა, რომ ბერძნები აფხაზეთში ანუ დასავლეთ საქართველოში გამოვიდნენ, ჩასწორების შემდეგ გამოდის, რომ ბერძნები საკუთრივ აფხაზეთიდან გამოსულან და საკუთრივ აფხაზეთის საზღვრად V საუკუნის 60-იანი წლებისათვის ეგრისწყალ-ღალიძგა ცხადდება, რაც რეალობას უმონყალოდ ამახინჯებს. სამწუხაროდ, როგორც აფხაზ, ისე ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებსა და მათ მიერ შედგენილ ისტორიულ-გეოგრაფიულ რუკებში ამ პერიოდის აფხაზეთის ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვრად ეგრისწყალი (ღალიძგა) არის მითითებული და უყურადღებოდ არის დარჩენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ სქოლიოში ჩატანილი სწორი ფორმა, რომელიც ამკარად მიუთითებს, რომ ამ ადგილას ტერმინ „აფხაზეთის" გამოყენება არ არის ჯუანშერისეული, იგი გვიანდელი ჩასწორების შედეგია. ამ მოსაზრებას ადასტურებს „ქართლის ცხოვრების" ძველსომხური თარგმანი, სადაც სათანადო ადგილას ტერმინი „აფხაზეთი" საერთოდ არ დასტურდება. თარგმანში წერია: „გამოვიდნენ ბერძნებიც და აიღეს ეგრისწყლის ქვეშოთ ქუჯის ციხემდის" (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. 1953, გვ. 145).

ზუსტად ასეთივე ვითარება გვაქვს ანა დედოფლისეული ნუსხის იმ ადგილასაც, სადაც აღწერილია ვახტანგ გორგასლის გალაშქრება ბერძენ დამპყრობთა წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. ოსებზე ძლევამოსილი გალაშქრებისა და ტყვეობიდან საკუთარი დის გამოხსნის შემდეგ ვახტანგი იქიდანვე წასულა ბერძნებთან საომრად. ანასეულ ნუსხაში წერია: „თუით სპითა ქართლისათა წარვიდა გზასა აფხაზეთისასა, სულგრძელად და უშიშად ინყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა დიდი ლეონ უცალ იყო ბრძოლისაგან სპარსთასა და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს, და წარიოტნა სამ წელ ციხენი აფხაზეთისანი ყოველნი ვიდრე ციხეგოჯადმდე და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეფოსა მცხეთას" (იხ. ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. 1942, გვ. 103).

ამ ადგილასაც ტერმინი „აფხაზეთი" V საუკუნისათვის შეუფერებელი ფართო მნიშვნელობით არის გამოყენებული, რაზეც ციხეგოჯის ხსენება მიუთითებს. სომხურ თარგმანში ქართული ტექსტის ოთხჯერ ნახმარი „აფხაზეთის" ნაცვლად ეს სახელი მხოლოდ ერთხელ დასტურდება, ხოლო ციხეგოჯი საერთოდ არ იხსენიება: „თვით კი თავისი ლაშქრით სამ წელს ებრძოდა აფხაზეთის მხარეებს და აიღო ყველა ციხე, რადგან ლეონ მეფე მოუცლელი იყო სპარსთაგან" (ძველსომხური თარგმანი, გვ. 151). როგორც ჩანს, დედანშიც „აფხაზეთი" ერთხელ იხსე-

დასასრული მე-14 გვ.

მეცნიერის არქივიდან

ქართული მეცნიერების ინტერესებისათვის

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, რუსთველოლოგისა და მთარგმნელის სოლომონ იორდანიშვილის არქივში ინახება არნოლდ ჩიქობავას პირადი წერილები; ამ პიროვნებათა ურთიერთობა და მიმოწერა ბევრი რაიმეთი არის საყურადღებო, სამაგალითო და დამაფიქრებელი.

გთავაზობთ სოლომონ იორდანიშვილის შვილის, ქ-ნ ლილი იორდანიშვილის წერილს.

1923 წლის 18 თებერვალს თბილისში პროფესორ გიორგი ახვლედიანის ინიციატივით დაარსდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, თავისი ბეჭდვითი ორგანოთი— „წელიწდეული“.

თავდაპირველად ამ საზოგადოებაში წევრობა ეწერა ირიცხებოდა. გამოჩენილი მეცნიერები — ივ. ჯავახიშვილის, გ. ახვლედიანის, აკ. შანიძის, კ. კეკელიძის, დ. უსტაძის, ლ. მელიქიშვილის, ოსტატაშვილის, მ. ჯანაშვილის გარდა მასში მონაწილეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდები: არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ს. ჯანაშია, სტ. ცბერელი, მ. ხუბუა, ს. იორდანიშვილი. საზოგადოების წევრები სხდომებზე კითხულობდნენ თავიანთ გამოკვლევებს, ერთმანეთს უზიარებდნენ მოსაზრებებს, მსჯელობდნენ ენათმეცნიერულ პრობლემებზე.

აქ ჩაეყარა საფუძველი არნ. ჩიქობავასა და სოლ. იორდანიშვილის ახალი ურთიერთობასა და სამეცნიერო თანამშრომლობას. მათ შემდეგშიც ერთად მოუხდათ მუშაობა სტერმინოლოგიურ კომიტეტში, ქართული ენის ნორმათა დამდგენ კომისიაში, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე და ა.შ.

სოლ. იორდანიშვილის არქივში დაცულია არნ. ჩიქობავას რამდენიმე წერილი. წერილებში ასახულია იმდროინდელი ენათმეცნიერების აქტუალური და ახლო მომავალში გადასაწყვეტი საკითხები.

არნ. ჩიქობავას პირველი წერილი სოლ. იორდანიშვილისადმი დათარიღებულია 1928 წლით. გამოგზავნილია მარგელიხიდან. მასში მოცემულია მსჯელობა ქართული მეცნიერების საინტერესო პრობლემაზე:

კერძოდ, არნ. ჩიქობავა ამ წერილში აღნიშნავს, რომ:

„1. საწერლობი ენა, — კულტურის პროდუქტია.

2. როგორც ასეთს, მას აქვს (უნდა ჰქონდეს) ლოგიკა (ცოცხალ მეტყველებას წარმოიაქვს არა ლოგიკა, არამედ ფსიქოლოგია, ენეა, ფსიქეა).

3. ეს ნიშნავს: საწერლობი ენა წესის, ფორმათა raison-ის გარეშე არ არის საწერლობი ენა. ეს ზოგადად.

კერძოდ:

1) ეს პრეფიქსები ან უნდა იხმარებოდეს, როგორც ფორმანტები ანდა სულ არ უნდა იხმარებოდეს („ფორტიკურ საკუთრად“ მათი ხმარების დატოვება დაუშვებელია).

2) მაინცდამაინც მეცხრამეტე საუკუნიდან ეს ფორმანტები მკვდარია; მათი სწორად ხმარების შემთხვევები (სნანარ, სდგანარ) ისევ კი არ მოწმობს, რომ ზოგან იგი ცოცხალია, არამედ იმას, რომ სუფიქტურ-აკუსტიკურად გამართლებული დაემთხვა (sfpiel zusammen) მორფოლოგიურად საეჭვებულს, სნანარ'ის ს მის დამწერ მწერლისათვის ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც სნან'ის ს: ე.ი. ორსავე შემთხვევაში საკუთარია, ხმარება უმრავლესლია, ფორმანტი მკვდარია. საკვირველია, რომ ილია, ეკა, ეაბეკი ასევე „ურევს“ ამათ, როგორც ეოქვათ აკაკი. ალბათ ინტერესი,“ რომ მეცხრამეტე საუკუნის საწერლობო ენა ამ შემთხვევაში მიღებულ მეკვეთრეობის გზას შერჩა და ცოცხალ აღმოსავლურ ენებს არ დაეკარგნა...

3) ამ ფორმანტების არ ხმარება არ ანიავებს ქართულის აგებულებას, ისევე როგორც უპრეფიქსო კლა (სახელობით დამატებიანთან) და უპრეფიქსო უზაკენ, არსებობ (შენ'ის არსებობა: პოტენციალურად სათანადო პირები MS და MO მაინც რჩება და ინტერ...

ბ. აკაკი ამბობს: ეს პრეფიქსები ეფო, არ არის, უნდა ეფოს სხვები (მაგალ. სერ. გორგაძე: არ არის— არც ოდესმე ყოფილა ზოგან ეფოს...)

... ცოდველი „ეიმახი, თუ“ ეფო, მაგრამ არ არის და ნურც შეაწუხებთ თავს, ნუ შეეჭმინთ ან'ს, ქართულს მართლწერაში: ხომ არ ეშლება ქართველს ვ.ვ.ვ. მაშ რა ღირსი გვიწერია აქ? — ის ღირსი, რომელიც ამ. ბობს ვ.ვ.ვ ცოცხალია, ჰ.ს— მკვდარია, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის ქართულში გაეჭელთ უ-ვ'ანთი, გაეჭლეთ უამისოდაც.

ჩვენის საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილი ჰქონდა საორთოგრაფიო საკითხებისათვის მიეცა ხელი; ჩვენთვის მაინც დაგვედგინა რამე. პირველსავე სხდომაზე (მის საბჭოს წევრებს გარდა დაესწრნენ: დ. უსტაძე, ს. ყაუჩიშვილი, ვ. ბერიძე, ს. ჯანაშია). ეს საკითხი ირჩოდა, მაგრამ დასკვნა არ. გამოგვიტანია 1/2-1/2 ხმებისა ხმებისა გამოვიდა. მერე ბაუხულმა მოგვესწრო.

ბოდა: ეს თავხედობა (მეზობელ უნებლეკ ჩემის მხრით) ნუ შეგაშფოთებთ, უპრეფიქსო ფორმები რომ შეგხვდეთ, ეს გარემოებანიც გაითვალისწინეთ და მაშინ, ეფიქრობ, თუ არ გამართლებები, გამოგვნთ მაინც...

დავანებოთ ამას თავი. აქ მინდოდა ხმირად ბნატრობთ (ნუ დასაკვნი, რომ ტეფლისში — არა...) შემოდგომიდან ხომ იტეფლისელები, სოლომონ და მაშინ ალბათ უფრო ხშირად გვაქვს საშუალება შეხვედრისა და საუბრისა.

თქვენ შეგობარს (თუმც უცნობს) პატივსცემით სალამი და მინდ „ერთ ახალგაზრდა მოქალაქეს“ თქვენი ოჯახის წევრს (ეფელას ბატონს ხვეია შორის) დიდი მოკითხვა და თავმდაბალი სალამი.

თქვენი ბენედიქტე (თუ არნოლდ: რომელიც გერჩოთ).

P.S. ალბათ, შეგატყობინებდე მიგლინებათ შესახებ: საკეთეი-ოხო'დ თქვენთვისაც გადაეცეთ რაღაც („ა ბატალი“), როდის მოგიხდებათ წასვლა „მუშაობად“? ხომ მოიწერთ, თ არ დაგამბიბეთ?

მე ალბათ, აგვისტოს ბოლო რ ცხეებში წავალ ბაოთისკენ. ის'ხ ფელი, რომელიც მე მინტერესებ იხიზნება ზავხულებთ მოაში. მინ ლისში 20 VIII-ზდის დაეწერა.

არნ.ბენ....

სხვა წერილში (1928 წ.) არნ. ჩიქობავა ეხება „ფინანსურ უფლებას“ და წერს: „არ გაქვს საშუალება სულ უბრალო რამ გაეკეთოთ (მაგალ. ჟურნალი გამოვცეთ, დრეთი წაეგზავნოთ ამხანაგს), მაშინ როდესაც ეს სახიზარი გრიშეს საკითხი რომ სხვაგვარად ოდეს, ჩვენში ენათმეცნიერულად მოაზროვნე მოქალაქეთა ძლიერი კოლექტივი შეიქმნოდა...

ჩვენ წერეთ რომ გაეხედეთ მბიმე პირობებია, შიშველობს ხალხი, მაგრამ მაინც მუშაობს. არის კოლექტიური ყოფა, მკვდრნია დაეანი მუშაობა. სხვადასხვა დარგში, თუნდაც ის რად ღირს, რომ საენათმეცნიერო საზოგადოებას არ შეაკავს სენი გაუტანლობის შესრის, ლეგლისა და ქიშმის, რომელსაც ეერ ასცილდა ეერც ერთი სხვა საზოგადოება ამ მხრივ საენათმეცნიერო საზოგადოება „უდიდესი საზოგადოებრივი მოსა ხედა წელად“.

საზოგადოებრივი პრობლემებით დატვირთული მეცნიერი წერილებში შესაშურ თუმორსაც ამეალეკენს. აქ გვითხულობთ: „სოლომონ ლდეს მიგეე თქვენი ეპისტოლეები და Ulk[2] ლიდი მადლობა, ოღონდ ფოსტა რომ აგიშენებათ და ფშაველ[3] რომ დაგიქცევიათ მარკებს ხიჭარბეთა, სამბამა ჩვენთვის. ერთი ხიტეკეთ, ასეა თუ ისე, ფოსტა: ფოსტა აშენდა, ჩვენ ზეიმი გადავხადეთ. სხვანაირად ა შეიძლება დაკვალიფიცირდეს ის, რასაც „ჩვენი ოჯახი“ ეანიკდდა. ეერ დაეეარაკ თქვენს საორგანიზაციო მიღწევებს აღტაცება გამოიწვია. ნამეტურ ჩალხაშ[4]...

თქვენ ორგანიზაციურ საქმეთა, ეანკეურებთ ჩალხას, მინგელია ლოგეა-კეთილდეა, ეკალამბაცა ლომსის ეშ. გიორგ ფარეეშცა (კაცია ბორტა თეალსაგან) ლ შარი!.

თქვენი არნოლდი

ასეთი იყო ის ურთიერთობა და ერთიანი საქმიანობა, რომელსაც ახალგაზრდობა დანე ჩაეყარა საფუძველი ორ ქართველ მეცნიერს შორის.

---

1. ს. იორდანიშვილი 1928 წელს მიაღლინ; კახეთში ბოსანელ ოხების ენების შესასწავლად.
2. გერმანული ჟურნალი
3. სოფელი თელავის რაიონში
4. ჩალხია ფრონველის (ჯიფარის) სახელია. სოლომონ ჯიფარი დაუსტაკეს და ჩიქობავას ოჯახთან გაუგზავნია. ამ ნახატს აღტაცება გამოუწვევია. მათ არ იცოდნენ, სოლომონი თუ ასე კარგად ხატავდა.

ჩვენი ანკეტა

რამდენიმე ქართველ მწერალს მივმართეთ შეკითხვებით:

1. მ. ჯავახიშვილი ნერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უშთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენოსოიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“. თქვენი აზრი ამის თაობაზე.

2. ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით რომელი მწერალი მიგაჩნიათ სამაგალითოდ და რატომ?

3. თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით ენის თვალსაზრისით?

4. ფიქრობთ თუ არა, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

5. რა აზრისა ხართ სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე? როგორ ნარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება?“

6. როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში?

7. კ. გამსახურდიას აზრით: „ჩვენი კრიტიკა უგულებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სნორ წერას“. თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სნორია?

ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს მწერალი რევაზ მიშველაძე.

1. — მწერლობა მოკლედ, ლამაზად და საინტერესოდ წერაა — სხვა არაფერი. მოკლედ და ლამაზად წერა მხოლოდდამხოლოდ ენას უკავშირდება. ვერც საინტერესოდ დაწერ, თუ ენის წიაღში, როგორც იტყვიან, ყველამდე არ ხარ ჩაფლული. ათასი ვარიანტიდან ერთი— ყველაზე ზუსტი ფრაზა უნდა მოძებნო მოკლეს დასასურათხატებლად ამას ტატანური შრომა სჭირდება. მოკლედ და ლამაზად თქმა, იცოდ, რა არის? მაგალითად, კაცი რომ ცხენზე შეჯდა, ცხენს

ენა და მწერალი

ზეზი ჰკრა, დასჭიოლა, გაქუსლა შერანი, მტერს ერთ უტევანზე რომ მოახლოდა, ხმალი ენ გაიშვირა და ნაგრძელებული ეკვერა მტერს— ამას ზოგიერთი მწერალი, იქნებ, ხომ გგრძელეც გაჭიმადა, რუსთაველს კი ერთ სტრიქონში ჩაატია: „ერთსა ნაეს-ნედი უტევანსა, ნაეგრძელები და ნაე გრძელად“. ესაა ენის ზედმიწევნითი ცოდნის მაგალითი.

2. — შეუდარებელია შოთა რუსთაველი. „ეეუხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისია ბევრს ეცადა რუსთაველის ენა დაეახლოებინა (მაგ. „იგი ნაეა და სხვა მოვა ტურფასა სამაღნაროსა“, ასე გადაკეთა: „იგი ნარამხდების, სხვა მოვა ტურფასა სამაღნაროსა“), მაგრამ ბოლოსმდე მაინც ვერ მოახერხა.

„ეეუხისტყაოსანს“ რომ ეკითხულობ, შიში მიპყრობს და ნერის ხალისი მეკარგება. მრცხვენია, რომ მწერალად „ეთხზენიები“. რუსთაველი ენობრივი თვალსაზრისითაც ეორტუნია. ბრწყინვალედ ფლობენ ქართულს ხულანსა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

3. — თუ ცოცხალ მწერლებზე მეკითხებით, გამოვყოფდი მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, მერაბ ელიოზიშვილის, ლადო მრევლიშვილის, ლევან სანიკიძის ქართულს.

4. — დავუწყოთ იქედან, რომ, საერთოდ, მკითხველის ინტერესი მიწელდა მწერლობისადმი. რაც შეეხება მწერალს, ჭეშმარიტი მწერალი არ შეიძლება „სალიტერატურო ენისადმი ინტერესს“ ანელებდეს. ენა მისი უბრალესი იარაღია და ნიადაგ ამის ცდაში უნდა იყოს, როგორ გაიუხაოს ეს იარაღი. მე თვით ვარ მოწმე, როგორ წაალმდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე სტილის დახვეწაზე. განუწყვეტელ ეძებდა „იმ ერთადერთს“. გიყვებოდა ერთი პროზაიკოსის სტილზე: ეს ოცდაშვრებული ერთი ხიტყვის მაგივრად ოც ხიტყვას წერსო.

ახალგაზრდა რომ ეოცავ, ერთ წერილში გატკბილებულად, გრძლად, მოსაწყენად წერის „ხელოვნება“ გავაკრიტიკე. ერთი მწერლის ასეთი ფრაზა მოვიტანე: „სასადილოში ადამიანები აქა-იქ შემოსხდომოდნენ მაგიდებს და თავთავიანი კერძებს შეექცეოდნენ“. მწერალი ასე არ უნდა წერდეს, სასადილოში მაგიდებს მხოლოდ ადამიანები უსხედან და სწორედ რომ თავიანი (და არა სხვის) კერძებს შეექცევიან-შეიქნ. ასე რომ, ეს გრძელი წინადადება სამი ხიტყვით უნდა დაწერილიყო, — „სასადილოში ხალეთობა იყო“— მეთქი.

5. — ჭეშმარიტი მწერალი თვით ქმნის თავის ენობრივ სტილს და, აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ რომ მისეულია. დღეს, პოლიფალიტებისა და ხიტყვაცა საშიში ხესხება-გასესხების, თუ შეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო უამრავი ნეოლოგიზმის გაჩენის ეპოქაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია, დასხდენ ჭეშმარიტი მეცნიერები და ენის ნორმა-წესები დადგინონ. ოღონდ, ეს უნდა გაკეთდეს უალრესად ფაქიზად და დელიკატურად. ენა ძალდატანებას, ტლანქ დამოკიდებულებას ვერ იტანს. დღეს, მაგალითად, მკაცრი „სტალინტი“ იმერიზმად მიიჩნევს ხატ-ცვას „გამოსულარიან“, ესაო კეთურა-პროვინციალურია და უფრო სწორია „გამოსულანი“. განა „გამოსულ არიან“ უჭკელესი ქართული „გამოსრულ არიან“ არ არის და „გამოსულან“ სწორედ მისგან არ წარმოსდგა? „ენობრივი თავისუფლების“ წინააღმდეგი ვარ. რაც ოპერეტს ეპატიება, ხარს არ შეშვენის. ეკიას ჰქონდა უფლება, ფშაური დიალექტი უხვად შემოეშვა თავის სწორეთოვარ შემოქმედებაში, სხვამ კეთილი უნდა ინებოს და სალიტერატურო ქართულის ნორმები შეხლებისდაგვარად დაიცვას.

6. — ენის მატონ-პატრონი ერია, ენის მეპაიარტრე და რეალიზებელი მწერალია, ხოლო ენის კანონების მმრეველ-დამდგენელი— მეცნიერი. რუსთაველი, ილია და გამსახურდია ენის რეფორმატორები არიან. მერე მოდის [illegible] ამ ხელოვნურ[illegible]ბა მოახდინეს.

არ დავსალავ, ჩემთვის მოუღებელია ოთარ ჩხეიძის, ეთერ თათარაძის და კიდევ ერთი ქართველი პროზაიკოსის ენობრივი პოზიცია (ამ უკანასკნელის გვარს მხოლოდ იმიტომ არ ვასახელებ, რომ „სტილის ძიების“ გზაზე ერთ დროს ძალიან „ეუტია“, მაგრამ მალე მოვდო გონს და ამ ბოლო დროს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება წერას).

ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში მწერალი უმთავრეს როლს ასრულებს. მე ჩემს თავს და ჩემს უმრწემეს მეგობრებს ყოველთვის მოვუწოდებ — მეტი იმუშაონ ფრაზაზე, ფახი დასდვა, „ბილი გაუსინჯონ“ ყოველ ხიტყვას.

მე იმერელი გახლავართ, მაგრამ ვინმეს „ქუთაისელი მწერალი“ რომ მიწოდოს, ქვას ვესვრი. თუ ნაგიკითხავთ ჩემი ნოველები, შეამჩნევთ, რომ ჩემი პერსონაჟები ყველანაირად უმეტესად ქართველურად... და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფერეიდნელ ან ინგილოურ კილოზეც. დიალექტია ლექსიკონები ჩემი სასავალდო წიგნებია.

მარტო ლექსიკონებზე რიდი გახლავართ მიბაძული. სადაც უნდა ვიყო, ჩემი მოსაუბრის ლექსიკას ეკვირდები და, თუ რასმე საგულისხმოს მოვკარი ყური, მაშინვე უბის წიგნაკში ვაწერ, გარდა ამისა— მე თვითონვე ვქმნი კომპოზიტებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალ სიტყვებსაც. არ ეცი რამდენად გაიკაფავენ ისინი გზას.

7. — რა თქმა უნდა, სწორია. ოღონდ კრიტიკა მარტო ენობრივ „დარღვევებზე“ კი არ უნდა მიგვითითებდეს, ისაც უნდა აღნიშნავდეს, რა სახლე შეიტანა ამა თუ იმ მწერალმა ენის განვითარებაში.

დღეს ძალიან უჭირს ჩვენ ჟურნალისტიკას ენის. გაზეთების სტილი თითქმის აუტანელია. შეაბეზღალეს მრჩება, რომ კორექტორები, სტილისტები — ამ უაღრესად კეთილშობილი სამსახურის წარმომადგენლები, საერთოდ, გაპქრნენ რედაქციებიდან.

თუ ვინმე რვეულს ახალ ქართულს, სწორედ, რომ გაზეთები რვეულან (რა თქმა უნდა, ყველა გაზეთზე არ მოგახსენებთ).

აბიტურიენტის ფურცელი

ქართული ენა

10. ქართული დამწერლობის წარმოშობა

მეცნიერები ფიქრობენ, რომ მსოფლიოში 5600-ზე მეტი ენაა. ამათგან 1000-ზე მეტი მკვდარია, აღარ გამოიყენება ურთიერთობის საშუალებად, დარჩენილი ცოცხალია, მოქმედი. მაგრამ ანბანი, რომლითაც ეს ენები სარგებლობენ, ხელ თითხმეტია (14): ლათინური, არაბული, სლავურ-კირილიური, ნორული, იაპონური, კორეული, ინდური, ეთიოპური, ბერძნული, ქართული, ხომხური, ებრაული, ხირული, მონღოლური. თუ გავიხარებთ ამ მოსაზრებას, რომ ინდური და ეთიოპური დამოუკიდებელი ანბანი არაა (ზ. ჭუმბურიძე), მაშინ მსოფლიოში არსებულ ანბანთა რაოდენობა 12-მდე შემცირდება.

დამწერლობა, საზოგადოდ, მეტყველების გრაფიკული ფიქსაციაა, ანუ ხილვადის მონახაზის საშუალებით გამოხატვა. ყველაზე ადრინდელ და პრიმიტიულ დამწერლობად ითვლება პიქტოგრაფიული დამწერლობა. ესაა სურათების, ნახატების ერთობლიობით რაიმე შინაარსის გადმოცემა (ცხადია, მისი „წაკითხვა" ყველა ენაზე შეიძლება). არსებობს იდეოგრაფიული დამწერლობა, რომელიც იყენებს იეროგლიფებს. იეროგლიფი ფიგურული გრაფიკული ნიშანია. იეროგლიფით შეიძლება აღინიშნოს მთელი ცნება, რაიმე სიტყვა, სიტყვის მარცვალი ან ცალკეული ბგერა (იდეოგრაფიულ დამწერლობას იყენებს იაპონური, ნორული...). იმგვარ დამწერლობას, რომელშიც თითოეულ ბგერას (სიტყვა ხომ ბგერებისგან შედგება) თავისი გრაფიკული ნიშანი (სახე) შეეფერება, ფონეტიკური პრინციპი უდევს საფუძვლად („ფონე" ბერძნულია და „ხმას" ნიშნავს). მაშასადამე, ფონეტიკური დამწერლობა გრაფიკულ ნიშნს იყენებს არა ცნების, სიტყვის ან მარცვლის, არამედ– კონკრეტული ბგერის გადმოცემაზე. ასეთი ანბანური დამწერლობა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩრდილო სემიტებმა ანუ ფინიკიელებმა შექმნეს ძველ წელთაღრიცხვის XV–XIV საუკუნეებში (ფინიკია შედგებოდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ახლანდელი სირიისა და ლიბანის ახლოს).

ფინიკიერ ანბანში მხოლოდ თანხმოვნები იყო (22 თანხმოვანი). იწერებოდა და იკითხებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. ფინიკიერი დამწერლობა უდევს საფუძვლად დასავლეთით არაბულ, ებრაულ, ხირიულ (არაბები დღესაც წერენ და კითხულობენ მარჯვნიდან მარცხნივ).

არქაული ბერძნულისგან შეიქმნა კლასიკური ბერძნული დამწერლობა (ძველი წელთაღრიცხვის V ს.). სწორედ ბერძნებმა დაამატეს ანბანში ხმოვნები და შეუცვლეს წერის მიმართულება: მარცხნიდან– მარჯვნივ.

ქართული ანბანი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. XI საუკუნის საუკეთესოდ უდევს ფინიკიერ-არამეული დამწერლობა.

ფინიკიერიდან მომდინარედ თვლის ქართულ ანბანს რ. პატარიძეც ოღონდ ქართულ დამწერლობას იგი არა VII, არამედ V საუკუნით ათარიღებს (ძველი წელთაღრიცხვით).

გ. წერეთელი ქართულ ანბანს არამეულიდან მომდინარედ თვლიდა (არამეული ახლოს არის ძველ ფინიკიერთან). 1940 წელს არამახისეულში (მცხეთასთან) აღმოჩენილი ორენოვანი წარწერა, რომელიც „არამახის ბილინგვის" სახელწოდებითაა ცნობილი („ბილინგვა" ლათინურია, „ორ ენას" ნიშნავს), შესრულებული ბერძნულად და არამეულად. სწორედ ეს არამახის არამეული ამყარებს ნაფაბრობას ქართულ ასოებთან.

არის მოსაზრება, რომ ქართული ანბანი მომდინარეობს ბერძნულიდან, ოღონდ ზოგი მეცნიერი ქართული ანბანის წინაპრად არქაულ ბერძნულს თვლის და მისი შექმნა ძველი წელთაღრიცხვის VIII–VII საუკუნეებში გადაქვს, ბევრად უფრო ადრე ფარნავაზამდე (დ. ბაქრაძე, პ. ინგოროყვა–), ზოგიც უძველესი ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის დროდ ახალი წელთაღრიცხვის IV–V საუკუნეებს მიიჩნევს და მას საქართველოში ქრისტიანობის შემოღებას უკავშირებს (თ. ყმურაძე, ზ. სარკისიანი–). „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შეიძლება არც წარმოადგენდეს ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველ ცდას და ქრისტიანობამდელ საქართველოში საკრალური არსებულიყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი ტრადიციები. არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა ან გამოიძახა თანმდევ არსებული წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა" (თ. გამყრელიძე).

როგორც ვხედავთ, ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისები არსებობს. ფართოდ გავრცელებული ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული დამწერლობა ჩვენ წელთაღრიცხვამდე უნდა იყოს შექმნილი, კვლევა-ძიება გრძელდება.

11. ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები...)

ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები უმდიდრეს მასალას გვაწვდის ქართული ენის, მისი შემადგენლობითი ცხოვრების, სალიტერატურო ენისა თუ საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის შესასწავლად. ეს ძეგლებია წარწერები, ხელნაწერები, საისტორიო თუ ისტორიული დოკუმენტები...

ჩვენამდე მოღწეული ქართული წარწერებიდან უძველესი პალესტინაშია, იუდას უდაბნოში, ბეთლეემის მახლობლად, სადაც იტალიელთა არქეოლოგიური ექსპედიციამ ეირჩილი კირბის ხელმძღვანელობით 195. წელს აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები. ბეთლეემის მონასტრის სამი წარწერიდან უძველესი დათარიღდა მე-5 საუკუნის I ნახევრით, 430-იანი წლებით (ზ. ალბერტაშვილი, გ. წერეთელი,ე. მაჭავარიანი).

ბეთლეემის ქართული მონასტრის წარწერების აღმოჩენამდე უძველესად ითვლებოდა ბოლნისის ხაჩის ტაძრის წარწერები (მათგან ოთხი უძველესი V საუკუნის მიწურულისა).

უკანკორის წარწერებიც ძველია: მათ VI საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ.

ძალზე მნიშვნელოვანია მცხეთის ჯვრის წარწერები. ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის აზრით, ისინი VI–VII საუკუნეებს განეკუთვნება.

რაჭაში, ნიკავის ჯვარისაში, ნაპოვნია წარწერა, რომელიც ტექსტში მოხსენიებული ეპრის მიხედვით „ბასკეტის წარწერის" სახელითაა ცნობილი. ა. შანიძის აზრით,იგი შესაძლებელია დათარიღდეს V საუკუნით (წარწერის აღმოჩენა გ. ბოჟორიძეს მას VI საუკუნით ათარიღებს).

1984 წელს დუშეთის რაიონის სოფელ დავითში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ღვთისმშობლის ეკლესიაში ჩატანებული ქვაჯარა ქართული წარწერით. მკვლევართა აზრით, ეკლესია უნდა იყოს აშენებული 419 წლამდე (ზოგიერთი მეცნიერი მას VI საუკუნისად მიიჩნევს).

დავითის სტელა („სტელა" ბერძნულია, ნიშნავს ქვის ფილას, რომელზეც წარწერა ან რელიეფური გამოსახულებაა) შედგება ორი მონაკვეთისაგან. ზედა ნაწილში გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები– მიქაელი და გაბრიელი, რომელთაც ხელში უჭირავთ გრაგნილი. ამ გრაგნილზე (ექვს სტრიქონად განლაგებული) ქართული ასომთავრული ასოებია ამოკვეთილი. ფრთებდაშვებული მთავარანგელოზები თითქოს უფალს ნას აუწყებენ ქვაჯარის ქვედა მონაკვეთზე გამოსახულ ორ პიროვნებას (ზელიუფალ). დავითის სტელაზე შესრულებულ ანბანს ათარიღებენ 367 წლით, მთლიანად ქვაჯარის გამოსახულებას კი თვლიან IV საუკუნის II ნახევრად (362-381 წ.წ.).

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ბ.“ №2-6)

გაგრძელება მე-8 გვ.

აბიტურიენტის ფურცელი

ქართული ენა

12. ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული)

ქართელმა დამწერლობამ განვითარების სამი საფეხური განვლო: ასომთავრული (ანუ მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული.

ასომთავრულს ანუ მრგლოვან სახელწოდება შერჩეული აქვს ასოთა დიდი მოხაზულობისა და მრგვალი მოყვანილობის გამო. ესაა მონუმენტური დამწერლობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია გეომეტრიული სწორხაზოვნება, სიმეტრიულობა, ასოთა-შანთა თანაბარი სიმაღლე. მთავრულები ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება: ასომთავრული ორხაზოვანი სისტემის დამწერლობა. აი ეს ანბანი:



ასომთავრული მრგლოვანით არის შესრულებული ჩვენამდე მოღწეული უძველესი წერილობითი ძეგლები V–IX საუკუნეებისა: ბეთლემის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგრის, წყახის წარწერები, სინური მრავალთავის დიდი ნაწილი, ადიშის ოთხთავი...

მრგლოვანი ასოებია გამოყენებული X–XVIII საუკუნეთა წარწერების დიდ უმრავლესობაში, ახალი აღთქმის შემცველ წიგნებში (ზ. სარჯველაძე).

IX საუკუნიდან გვხვდება ქართული ანბანის მეორე სახეობა– ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. ნუსხურის უძველეს ნიმუშად ითვლებოდა 864 წლის სინური მრავალთავის ანდერძის მინაწერი (ხელნაწერის უდიდესი ნაწილი, როგორც აღნიშნეთ, ასომთავრულითაა შესრულებული). ამგვარად კი ნუსხური დამწერლობის უძველეს ნიმუშად აღმოჩნდა ხაინის ერთ-ერთი წარწერა თელეთ, რომელსაც 835 წლით ათარიღებენ (გ. პარამეშვილი).

„ნუსხური" წარმოებულია „ნუსხა" სიტყვისაგან, რომელიც ხელნაწ-სა ორბელიანი ასე განმარტავს: „ნუსხა ჩქარად აღწერილი არს" („ნუსხა" იმ დედანსაც რქმევია, საიდანაც ტექსტს ეწერდნენ). „ასომთავრულისა" და „მრგლოვანისაგან" განსხვავებით (რომელიც თანმიმდევრულ ასოებისა– რ. პატარიძის აზრით, მხედრული დამწერლობა IV საუკუნიდან არსებობს.

მხედრულის უძველეს ნიმუშად ითვლებოდა XI საუკუნის (1054 წ.) ძეგლი. ამგვარად მაგალითად ატენის ხაინის კიდევ ერთი წარწერა, მხედრული ანბანით შესრულებული, რომელსაც X საუკუნით (982–986 წ.წ.) ათარიღებენ (გ. პარამეშვილი, ზ. ალეკსიძე).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ X საუკუნიდან თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. „მხედრულ ანუ საერო დამწერლობას უპირისპირდებოდა ხუცური ანუ საეკლესიო დამწერლობა. „ხუცური" არის „ასომთავრული" და „ნუსხური" საერთო სახელი" (ი. ჯავახიშვილი). მართლაც, ასომთავრულსა და ნუსხურს ძირითადად საეკლესიო ხასიათის თხზულებებში იყენებდნენ, მხედრულს კი უპირატესად საერო მწერლობის ძეგლებში ეხვდებით.

ხელნაწერებზე დაკვირვება მრავალ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს ქართული ანბანის სახეობათა გამოყენების თვალსაზრისით. მაგალითად, ბევრი ხელნაწერის ერთი ნაწილი ასომთავრულითაა შესრულებული, მეორე– ნუსხურით, ხშირად ნუსხურად დაწერილ ხელნაწერში საათურებს ან ანბაცებს დასწყებ ასოებს ასომთავრულით წერდნენ ხოლმე; ერთ-ერთი ხელნაწერიდან ირკვევა, რომ სახარება (ოთხთავი) წესით არ უნდა გადაწერილიყო მხედრულად, მაგრამ მხედრული ანბანით დაწერილი ოთხთავის ავტორი თავს იმართლებს: საერო პირებმა ხუცური ანბანი არ იციან, მათაც ხომ უნდათ სახარების წაკითხვა?...

შენიშნულია ასეთი საინტერესო ფაქტიც: „ჩვენამდე მოღწეული უძველესი საისტორიო ან იურიდიული ბუთები ნუსხურადა დაწერილი, თუ მისი გამცემი სახელერო პირი; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის გამცემი საერო პირია, იგი შედგენილა მხედრულად" (ზ. სარჯველაძე).

ამგვარად, ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურებია ასომთავრული (მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული. ქართული პალეოგრაფიის (ბერძნულად: „ძველიის" – „ძველი „გრაფეი" – „ვწერ) ანუ დამწერლობათმცოდნეობის ცნობილი სპეციალისტების (ი. ჯავახიშვილი, დ. ბაქრაძე, რ. პატარიძე, ე. მაჭავარიანი...) აზრით, ყოველი მომდევნო საფეხური წინა საფეხურის შემდეგ განვითარებას წარმოადგენს. მხედრული ქართული დამწერლობის განვითარების უკანასკნელი, უმაღლესი საფეხურია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლეილა გეგეჭკორი

მეშვიდე გვერდიდან

ჩვენი ისტორიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჭყონის (616-19 წ.წ.), კუმურდოს (VII ს.), ატენის ხაინის (უძველესი წარწერა 739 წელსაა შესრულებული), იშხნის (954–955 წ.წ.) და სხვა წარწერებს.

ქართული ენის ძველისძველ წელიწადთა ძველებს წარმოადგენენ ხელნაწერები. მათი რიცხვი 10000-ს ეუმატება (ვინ იცის, რამდენი ათასი ეთინარა ომთა საალმ, ან კიდევ რამდენი გაბნეული ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში და გამოუზეურებელ ლის?!..). 1000-ზე მეტი ქართული ხელნაწერი V–XII საუკუნეებისა. ეს ხელნაწერები ეფუძნა სამ ენაზედ: ბერძენულად, სომეხულად და სანსკრიტად (ბ.-ა ... ქ-ს ნაცვლად ხანა ნახმარი მეორე ხუთეულტური და მესამე ობიექტური პირის ნაშთად). V–IX საუკუნეთა ხელნაწერები სასულიერო ლიტერატურა, X–XIII საუკუნეებისა კი – ... ისტორიული, საისტორიო, მხატვრული...

ბანეტ ხელნაწერთაგან უნდა დასახელოთ:

1) ქართულ-ებრაული პალიმფსესტი. ქართული ხელნაწერი V–VI საუკუნეში უნდა ყოფილ შედგენილი ერუსალიმში (ებრაული გეონდელია, XI საუკუნისა).

2) ბანეტი ლექციონარი VII საუკუნის II ნახევრისა (მასში ა. შანიძემ ... 165 ბანეტი და 7 ბეჭედი ფირმა).

3) ოერეთის წინასწარმეტყველების ოქტოიხელი და კამბრიული ... ბანეტები VI–VII საუკუნისა.

4) ესაიას წინასწარმეტყველების ... VI–VII საუკუნეებისა.

5) იაკობის პროტოევანგელე VII საუკუნისა და სხვა.

მომდევნო საუკუნეთა ძეგლებიდან აღსანიშნავია: სინური მრავალთავი, გადაწერილი ეფრესალიმში, სამშენდის ლავრაში, 864 წელს. იგი მასინ შეუწირავთ ნინა მთის მონასტრისათვის. ესაა უძველესი თარიღიანი ხელნაწერი. საინტერესოა ისიც, რომ მასი შემქმნელი, მაკარი, ყოფილა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. ხელნაწერი შესრულებულია ასომთავრული (მრგლოვანით), მცირე ნაწილი– ნუსხურით.

საქართველოში დაცულ ძეგლთა შორის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი ადიშის ოთხთავია (ადიში სოფელია ზემო სვანეთში, მესტიის რაიონში, სადაც თითქმის 400 წელი ინახებოდა ეს სახარება). ხელნაწერი შესრულებულია 897 წელს. გადაწერილ აქვეა.

დიდი მნიშვნელობის ხელნაწერებია: ოპიზის სახარება (913 წ.), მაბერდის ოთხთავი (936 წ.), ჯრუჭის ოთხთავი (იგი 940 წელს მოუხატავს ხატმარ თეოდორეს), პარხლის ოთხთავი (973 წ.) და მრავალი სხვა.

უდიდესი ღირებულებისა უძველესი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებები: „წამებაჲ წმიდისა მოწამისა შუშანიკისი" – ჩვენამდე მოღწეული პირველი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც 476-482 წლებშია დაწერილი; „ვეფხტყაოსნის წამება", „პატ ტფილელის წამება", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", „ნინოს ცხოვრება" და მრავალი სხვა.

რაც შეეხება თორმეტად თუ სხვა სახის დოკუმენტებს, ისინი ძირითადად XI საუკუნიდან გვაქვს.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება

კრიტიკოსი ნოდარ ბრიბალაშვილი გამოსაცემად ამზადებს II ნაწილს წიგნისა „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“
გთავაზობთ ერთ-ერთ თავს ამ წიგნიდან.

ჩვენებისამები, რიდესაც ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების კვლევას ვიწყებთ, ვალდებულნი ვართ, გავიცნოთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოვიყენოთ კიდეც ის წერილები, გამოკვლევები და მონოგრაფიები, რომელნიც საკვლევი მასალის ირგვლივ ჩვენამდე შემოსულა, მაგრამ ქეშმარიტ პოეზიაზე წერისას ეს მხოლოდ „მაკი სამეშაო“ შესრულების ნიშნავს. ამ აზრს განსაკუთრებით გაუსვამდი ხაზს გალაკტიონის სამყაროს კვლევასა. არა იმიტომ, რომ გალაკტიონის უმშვენიერეს ლექსებზე ლირიული არაფერი დაწერილა. დაწერილა, ბევრი რამ გამოქვეყნებულა ცალიც და კარეც, ტრაფარეტულიც და პოეტის შემოქმედების ლირიც. (ამ უკანასკნელ ფრაზაში, ცხადია, არის გადაჭარბება. გალაკტიონის პოეზიის შესაფერი წერილი, ეხეი, გამოკვლევა თუ მონოგრაფია, ძნელი ნარმოსადგენია...)

და მაინც, ის ღვაკრიეი პოეზია რომ სრულყოფილად იგრძნოთ, რაც ლექსის ამ დიდმა ჯადოქრმა შექმნა, ჯერაკან „ეიშველეთ“ თუ თავდ ოქვენი ჯერ მოიძებნეთ ამ გრძნობებსა და განცდებს, ამ ტკივილებს, ამ უზარელი განწყობის, რაც პოეტს ხელ ეფორიაქებდა.

ვინც სიყვარულის ცეცხლზე არ დაწვლებულა და ძილგამფრთხალს ღამის სიბნელე, წვიმის ცრემლები და მარტობის განცდა მძიე ლიდიკით არ დასნილა, ჯერასიდან იგრძნობს და ჯერეფრთი მკვლევარი ჯერ განცდენებს ამ სტროფინების მაგიერ ძალ:

„ღმერთო, როგორ მოხდა ნვიმა
მოსასხარი
„თითქო შეუნუკეტი კოპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე სიზიზღარი,
რომელი საათია, რომელი საათია?“

ვინც სრული უმწეობის გრძნობას არასიდეს შეეპარა, ვისთვისაც ეცხია ამათა და სამნელი განწყობით შობილი უსასრულა, ამ ნაადგზე „ფარ-ხმალის“ დაყრა და ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულების თუნდაც ხანიერი მდგომარეობა, მას ჯერეფრთი ნაფიეი კრიტიკოსი ჯერ აუხსნის, თუ რატომ არის დიდებული ასე უბრალოდ ნათქვამი ლექსი, ლექსი, რომელშიც „დაჭერილია“ განცდა ამისა, როგორ შეიძლება მოიგვარის თავისკენელის უკანასკნელი გადწყვეტილების ეეეარა მიღებამ გამოგნებული და დამთრგუნველი სიმშვიდე:

„ის მიდიოდა ჭიუაში ერთი,
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;
მისთვის ამ წამში არ იყო ღმერთი,
მისთვის არ იყო ჭრისტე და ჯვარი.
თითქმის არ გრძნობდა სახლებს და
ადამიანს,
ძალით დაბურულს არ გრძნობდა
მზარეს.
ეტლები ცვლიდნენ მიმავალ ეტლებს,
როგორც სიზმარში მზარე ცვლის
მზარეს.
როგორ, საიდან... არ იცის თვითონ.
ის უცნობ ხიდზე დგას, სხეა ხიდი
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი.“

ან ამ ლექსს როგორ აკეთებნის ვინმე, თუ არ შეეგრძნით მთელი ტრაგიზმი ჩვენი ყოფისა, რიც იძულებით გვაძინებს მოსისხლე „ადამ“, ხელ ერთია პირად მტერს ეიგულისხმებთ „ადამში“ თუ სამშობლოს. და ჩვენც იძულებულნი ვართ, მძიმარედ მოვაჭვნოთ მას თავი, ამ ბაშვეთით, რომელსაც გალახვა არ ანცლა, თუ ძალის რეეიმი დარღვეა,ეეერთის ბრძანებაზე თავლები თუ მოჩვენებით მაინც არ დახეკა... მაგრამ მთრახის შიშით თვალინანდელმა, მაინც ზღვეარებს ღირსების გრძნობა, კიაფობს ამედი ოღესმე სამეგრეოს მოგებისა,

„თვით ჩემი სიცოცხლეც
ამ გზებით წავიდა,
სახლიდან გავიდა
და აღარ დაბრუნდა“.

ერთი სიტყვით, არ დარჩენილა ადამიანურ გრძნობათა გამში არაფერი, გალაკტიონის, ამ ხელის დიდი მესაფლეველის მიერ ატეხილ გრიგალში თავის ეეეის რომ არ გამოსცდეს. მიეცდენი კი ამ ხმებში ეერძნობთ ჩვენსავე ადამიანურ ენებს, ეკვდავ ენაზე გარდაფერეულ.

ამიტომაც, ვამბობ, რომ ქეშმარიტ პოეზიასთან მიახლებას „შეამაკალი“ ნაკლად შეეკლის, შეამაკალი ჩვენეე ხელიერი სიმდიდრე შეიძლება იყოს.

რეეორეე არ არსებობს გრძნობათა ზღვარის დამდგენი ბარომეტრი, ასევე არ არსებობს ის ლიტერატურული სკალა, მიმართულება, რომლის თეორიულ არტახებშიც დიდი პოეზიის მოქცევა შეიძლება.

ზღვის მხოლოდ ცალკეულ ადგილებთან შეიძლება ეებარი აღეეეართოთ, მოლიანი რკალი კი მისი ტალღების ღელეა-ტორტმანს ჯერ შეკავებს.

გალაკტიონის პოეზიაც ამ ზღვის ეკავს, რომლის მოქცევაც ცალკეულ თეორიულ არტახებში — რომანტიზმი იქნება ის, სიმბოლიზმი, რეალიზმი თუ ბოლშევიკთა მიერ შეთითხნილი სოციალისტური რეალიზმი — შეეძლებელია.

გალაკტიონს თავისი პოეზიის „ბასალები“ თავადვე შემოგვთავაზა:

„ვინაც გადგების ჩემეურთმის ქართველს,
ის პოეზიას ჩემსას გადგებს“.

ამით პოეტმა თქვა ყველაფერი მათთვის, ვისთვისაც ქართული ენის, ქართული ხელოვნების, საზოგადოდ, ხელიერების განცდა ორგანული ნაწილია არსებობისათვის. ვისთვისაც მზის ჩასვლა-ამოსვლა სამყაროს მშვენერებისა და პარმონიის ყოველდღიური სანეულია და არა მხოლოდ ასტრონომიული სხეელის ციალური მოძრაობის შედეგი.

ასე რომ, გალაკტიონის ლექსის წვდომის ხერხედ ამ განწყობით ეეცადეთ.

არის ხხვა მეთოდიც, ე.წ. მეცნიერული, სკრუპულოზური კვლევა, რომელიც ზოგჯერ ისეა გაუკეთებარეულია, რომ მეტისმეტი „ხერეიოზულობის ბამ“, კაცს ღიმილს მოიგვრის. გალაკტიონზე დაწერილი მშვენიერი მონოგრაფიის ავტორი რევაზ თავრაძე ირონიულად ამბობს:

„ქეშმარიტ ლიტერატურათმცოდნეს ჩვენ [illegible] ლექსეეონი. შეეხება თუ არა ამა თუ იმ ლექსში საგანმანმარტებელ [illegible] ეერეი, ჯერ თავისთვის დაუხატავს კარგად-ალეტერაციასთან აქვს საქმე, სინკდოქეთან თუ პლეონაზმთან. მერე უაღრესად ბუნებრივად, უშეალოდ, მინაურულად გვეუბნება: „ამ პერიოდის ლექსებში პოეტი ხშირად მიმართავს სინკდოქეს. რაც შეეხება ანაფორას, მრავალი მაგალითის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ დროისა და ადგილის სიმცირის გამო“ და ასე შემდეგ. მერე თქვენ და ეე ავრეთვე ხელთ ვიკავთ ლექსიკონს, ეკვ ჩვენთვის ვახუსტავთ ხსენებულ ტერმინთა მნიშვნელობას და თავს ვიმტკიცებთ: ნეტავ რომელ ლექსებს გულისხმობდა განსაკუთრებული ავტორი, რომელ ლექსშია სინკდოქე და რომელში ანაკოლუთი?“

ხემრობა იქით იყოს, მაგრამ სინკდოქებითა და ანაკოლუსებით „დაყრეებული“ ფრაზებით მსჯელობა უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანურად თქმა ამისა, რას წერს, როგორ წერს ავტორი და, რაც მთავარია, როგორ განიცდით ჩვენ ამას.

ვახსენოთ ღმერთი და მივმართოთ გალაკტიონის ენითა განაოებულ პოეტურ სამყაროს.

„ლურჯა ცხენები“

ადამიანის ყოფა (ყოფიერება) ორგვარ არსებობაში გამოიხატება— ეამადყოფობაში და უეამობაში, ანე წეითხოიფელში და მარადიულ ხიფელში. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, ადამიანის ეეთოხოიფელში ცხოერება უმცირესი მონაკვეთია ამ დიდი სიკიცხლისა, რომლის ნაწილსაც აქ, საკაროში, მზისქვეშეთში ატარებს იეი. მართალია, ეეთოხოიფელი ტანეკეთია აღსავსე, მართალია, ადამიანი განკაცებული მაცხოერებითა ეოლეოთის გზას გადის, მაგრამ თუ ეს გზა ძე ღვთისას მიმართეთ განული, იქ მარადიულ ხიფელში სასუფევლს დაიკავებენს და სამარადისო ნეტარებას ეზიარება. ასე ფიქრობს მორწმუნე და ეს მისი გეუბზარავი ხელის ბეჭედნერეა.

მაგრამ, რიდესაც რწმენას იქენეული ეონება ამოწმებს, ადამიანი ხშირად ემსგავსება გემბანზე მოქანავე ალბატროსს, რომელსაც საყრდენი არ გააჩნია.

„ლურჯა ცხენები“ სწორედ ასეთი მოქანავე სასოწარკვეთილის ხელის კვეალია, ამაოების მწარე განცდით ნასაზრდოები.

„როგორც ნისლის ნამქერი ჩამავალ
მზით ნიფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ჯერ ვნახე
ვერაფერი,
ცივ და მუხანათი მდუმარების
გარეშე.“

მოიდევნო სტროფიდან ირკვევა,

გაგრძელება მე-10 გვ.

აბიტურიენტის ფურცელი

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება

მეცხრე გვერდიდან

რომ „სამუდამო მზარე“ ის „აღქმული ქმნილია“, რომლის არსებობის რწმენა როგორც წესი, ადამიანს იმედით აღავსებს და საკუდილის საშინელებას აჭარწყლებს, რადგან საკუდილი საწყისია გარდაცვალების ანუ სხვა სიცოცხლის დასაწყისია. მაგრამ „ლურჯა ცხენების“ მიზეზეთი, ეს ყველაფერი იღუნია და სამუდამო მზარის ხატად პოეტს წარმოდგენილი აქვს სიცივე, მიუსაფარია და მდუმარეა, საღაც მხოლოდ მწუხარეა ხუვეს:

„მდუმარების გარეშე და სიცივის
თარეშში,
სამუდამო მზარეში მზოლოდ
სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წვეხარ
ცივ სამარეში,
წვეხარ ცივ სამარეში და არც ხელს
უხარია“.

ფრაზებით „ცეცხლი არ კრთის თვალებში“, „და არც ხელს უხარია“ ძალუნებრივად პროეკირება „იქიდან“ „აქეთ“ ხდება. რაკი სამუდამო მზარეში მხოლოდ ცივი სამარეა — მდუმარებასა და სიმწუხარეში მთენილი, უნდა ვფიქრობთ, რომ საკაი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დროებითი მზარე“ მიანნა პოეტს ადამიანის ყოფიერების ნამდვილ სამრანისად. მაგრამ ლექსის კომპოზიციური სტრუქტურა სათქმელის მოელიდნელობაზეა გათვლილი, პოეტი, „იქიდან“ „აქეთ“ გადმოდგებს და ადამიანის ეამიდმყოფობის პერიოდსაც ბნელ ფერებში ხატავს:

„შეშლილი ساზეების ჩონჩხიანი
ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან,
მიიჭარიან
სიზმრიან ჩვენებით— ჩემი ლურჯა
ცხენებით
ჩემთან მოეხვევებით, ყველანი აქ
არიან“.

ასე რომ, ეს ხოფლიც უსულდგმული დღეების წყებაა, საღაც „შეშლილ საზეების ჩონჩხიანი ტყეები“ იდგანენ. აქედან გამომდინარე, უსულდგმული დღეებით მონუსული ხელ სხვა სიცოცხლე, სხვა ცხოვრება სწყურია. ამ ხერეულს აღსრულება კი ამ ნანატრი „სამუდამო მზარის“ იდეალურობის გამო შეუძლებელი ყოფილა. ამის შედეგა ითმენენებს პოეტს ნერვიულად „არ ნანდა შენამარი, ვერ ვნახე ვერაფერი“.

დაუკვირდეთ სიტყვას „შენამარი“, რომელიც ნინა სტროფინის შიდა რითმას „ნამარს“ ერითმება.

„ეღვარებდა ნამარი სამუდამო მზარეში
არ ნანდა შენამარი, ვერ ვნახე
ვერაფერი,
ცივ და მოუსაფარი მდუმარების
გარეშე“.

თუ ამ გარეშეების მიაქცევთ ყურადღებას, რომ „შენამარს“ „ნამარის“ ლექსიკურ მნიშვნელობასთან არაფერი საერთო არა აქვს, რომ შენამარი გულისხმობს შეპარებულს, ნინსწარ აღთქმულს, მაშინ ამ ლექსში ყველაფერი ადვილად გასაგები გახდება. „ლურჯა ცხენები“, გალაკტიონის ერთ-ერთ სიმბოლისტურ ნაწარმოებად მინნული, მკაფიოდ გამოკვეთილი სათქმელის მქონე რეალისტურ ლექსად აღიქმება.

პოეტი თავისი ყოფის ტრაგიზმს ხედავს იმაში, რომ საკაი, როგორც ეოქა, უსულდგმული დღეების წყებად მიანნა, სამუდამო მზარეში კი ვერ ნახა შენამარები, ანუ დამსგავსა ის მრწამსი მარადიული ცხოვრების შესახებ, რომელზედაც ზეთოთ გვქონდა საუბარი. აი, სწორედ ამ აზრით „ლურჯა ცხენები“ ადამიანის ყოფიერების ტრაგიზმს ეამოხატავს, რადგან მარადიული ყოფიერება, თეორიულ, არ არსებულა, ნეოფერი კი თავისთავად არის ტრაგედია, ითი ეფერი, თუ ნეტარება, საზოგადოდ, ადამიანთა ენებები არარაობა, რადგან ერთ დღეს ყველაფერი წარხდება. ბოლი საკუდილის შემდეგ „ბინა, ნაცარ და თიხა ქმნილ არის ყოველი“.

ლექსის ასეთმა ფინალმა უნდა გაოგიერბინოს, რომ იგი ურწმუნო ადამიანის დაწერილია. საკაი ცრეენთა ქმედილის ამარეზად მიანნა და არც საკაი სწამს, რადგან ადამიანისგან, ნაწარმოების მიზეზეთ, მიწა, თიხა და ნაცარ რჩება მხოლოდ. არადა, ამბნოვრაფს, ეს ცრეა კი, ეკეთ მორწმუნეს გულისხმობს, შეეძლებელია ასეთი რამ ფიქრობაც კი ეკეთ. შეეძლებელია დაეკვა, რომ ადამიანისგან საკუდილის შემდეგ აღარაფერი რჩება.

საქმე ის არის, რომ ლექსს სათაურად აქვა „ცალობანი ხელისანი“. სათაური კი ამ შემთხვევაში უმთავრესი აკორდია. ავტორის პოზიცია მისი სათქმელი სწორედ სათაურით იხსნება. სათაურზე ეურადღების გადატანა გვთქმევინებს, რომ ამბნოვრაფი ბორცელი ცხოვრების წარმოსახვაზე ეწერს. ერთადერთი, რაც წარეკალა ადამიანში, ეს არის ხელი, ეკეთ და მიწად იქცეა ბორცი. ეარეა ბორცელი ხალამზე ლაეა და წარეკეეა ყველაფერი, რაც ბორცელ ენებს უკავშირდება, მხოლოდ ხელია მარადიული. აი, ეს არის ამ ლექსის სათქმელი, ამატომ აქვა მას „ცალობანი ხელისანი“.

ეს ერცელი ექსკურსი საჭიროდ ჩავთვალე, რათა უფრო მკაფიოდ წარმოეჩინოთ გალაკტიონის ლექსის „ლურჯა ცხენები“ სათაურის სიმბოლეა. როგორც უკვლესი ამბნოვრაფიული ტექსტის, ისე „ლურჯა ცხენების“ სათქმელიც ხელ სხვაგვარად წარმოგადგებოდა, რომ არა სათაურის ანალიზი ეარეტექსტნიკაში.

გალაკტიონის ფიქრით (საუბარია კონკრეტულ ლექსთან დაკავშირებით და არა საზოგადოდ), ერთადერთი, რაც მარადიულია, არის ლურჯა ცხენები.

„ბზოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო
მზარეში,
ზეეთ თუ სამარეში წეველთ
შენანჩენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც
ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა— გრიალთან ჭრიან
ლურჯა ცხენები“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი რამ ფაქტია: ლექსის ლირიკული ეგირი უსულდგმული ეეთიანოფელს ზერეს აჭე

ᲔᲜᲐ ᲔᲫᲔᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ

ᲙᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲚ მეტყველებაში, უფრო კი ფეხსაცმელთან დაკავშირებულ საუბარში არაიშვიათად გაგაგონია ან თავადაც გამოგიყენებია ასეთი ფრაზები: „ფეხსაცმელი ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ მიჭირს“, „დიდი ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ აქვს ამ ფეხსაცმელს“, „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ მაქვს მაღალი“ და ა.შ.

„ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“ წარმდგენელის ბარბარიზმია. იგი მომდინარეობს რუსული სიტყვისაგან Подъем. ეს სიტყვა რუსულ-ქართულ ლექსიკონში რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: 1. აწევა, აყენება, წამოყენება, აყვანა, ატანა, ახვლა, აფეთქება. 2. დილას ადგომის დრო. 3. აღმართი, შემაღლება; 4. ზურგი (ფეხისა): высокий п. მაღალი ზურგი (ფეხისა).

ჩვენთვის საინტერესო ბარბარიზმი სწორედ მე-4 მნიშვნელობის სუსტი გადმოტანაა ქართულში. როგორც განმარტებიდანვე ჩანს, მას შესაბამება შესიტყვება „ფეხის ზურგი“, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც ზოგადი სახელდებაა სხეულის ამ ნაწილისა. ენა შედარ ცდილობს დააკონკრეტოს ცნება, უფრო ტევადად და სახეობრივად გამოხატოს იგი. სახელდებაში „ფეხის ზურგი“ კი არ მოიაზრება ის, რაც უფრო ნათლადაა ასახული ბარბარიზმში: „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“ ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილია და არა ზოგადად „ფეხის ზურგი“. ბარბარიზმის გაფერადებაც სწორედ ამან განაპირობა, ფეხის ზურგის უმაღლეს წერტილზე მითითება მნიშვნელოვანია ფეხსაცმლის კერვის პროცესშიც და მისი გამოყენების დროსაც. როცა ენაში შაბლონურად არ აღმოჩნდა ეს ცნება, ენამ ბარბარიზმს მიმართა, რაც სამოდელო ჯამში ენისათვის საზიანო შედეგის მოტანა, რადგან ბარბარიზმის მოძალება ენის ნორმების რღვევასა და მის შერყევის ნიშანია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ფეხის ზურგი“ მყარ შესიტყვებად და ამდენად ცნება-ტერმინად არ დასტურდება, ცალკე ერთეულად „ფეხის ზურგი“, რა თქმა უნდა, შეტანილი არაა. ლექსემა „ფეხი“ გამოკვეთილად არ მოიხსენიებს „ფეხის ზურგს“, თუმცა კი „ფეხის გული“ გამოყოფილია: „ფეხ. გული— ფეხის გული— ტერფის ნაწილი ქუსლსა და თითებს შუა“. რაც შეეხება ლექსემას „ზურგი“, კონკრეტულად „ფეხის ზურგი“ არც აქ დასტურდება. ზურგ-ის მეორე მნიშვნელობად მითითებულია: „გადატ. საერთოდ, ზემოთა ნაწილი რისამე, კოცნის ზურგი. — ცაცის ზურგი. — კვრის ზურგი („შინაბრეწ“.). ხელის ან თათის ქვემოთა ნაწილს ხელის გული ჰქვია, ზემოთას კი— ზურგი (ი. გოგებ.). მუხის შიგ ძირში ორ მის კუბერთულა ფეხს ზურგი ჰქონდა მაწის ზემოთ ამოშვერილი (ნ. ლომ.). ცხვრის წინა ნაპირს, წვეტიდან შუბლამდე, ეწოდება ცხვრის ზურგი („ᲞᲚᲐᲢ. ᲐᲜᲐᲢᲝᲜᲘᲐ“) // ზემოთა ნაწილი (მთისა, გორაკისა...)...“

ასე ერცლად ამ განმარტების მოტანა განაპირობა იმან, რომ გვქონდა „ფეხის ზურგი“ მყარ შესიტყვებად არ ჩანს. რამდენადაც ზურგი „საერთოდ ზემოთა ნაწილს“ ნიშნავს, სახელდებაც ამის მიხედვით შეიქმნა, ე.ი. ტერფის, ფეხის ზემოთა ნაწილი. ამგვარ განმარტებაში კი ის, რასაც „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“ მიანიშნებს, საერთოდ აღარაა გამოკვეთილი. სახელდება ზოგადია, არადაკონკრეტებული. ამიტომაც ვერ შეინაცვლა იგი ცოცხალ მეტყველებაში შემოსულ რუსიციზმს — „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“.

აღწერითი განმარტება აქვს მოცემული ნ.

ᲐᲮᲐᲛᲘ

ჩუბინაშვილს „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“: Подъем— აწევა, აღება, ატანა... Подъем у ноги человеческой – კაცის ფეხის ზეთ პირი წვეის სახსრიდან ჩრდილამდინ. Подъем у сапог— ჩექმის სამრე ყელის ქვეთ“.

ყოველივე ეს უნდა მოწოდებულ იმის, რომ „ფეხის ზურგი“ მაინც ხელოვნური შესიტყვებაა და იგი ენაში „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ“ მნიშვნელობით ვერ დამკვიდრდა, ვერც კონკურენცია გაუწია ბარბარიზმს, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ხუსტად ასახავს აღსანიშნ ობიექტს, ვიდრე ხელოვნური „ფეხის ზურგი“.

ქართული ენა მდიდარია, მაგრამ მის შესაძლებლობებს, ბუნებრივია, ოდენ სალიტერატურო ენა ვერ ასახავს. ამიტომაც მხოლოდ დიალექტია მონაცემების გათვალისწინებამ შეიძლება მოგვცეს მაახლოებითი წარმოდგენა მის ლექსიკურ მარაგზე.

ამგვარად, ჩვენი მსჯელობის საგნად გამოტანილ ობიექტს სრულად ნათელი, გარკვეული და გამოკვეთილი სახელდება აქვს ქვემოიმერულში, რაც რუსიციზმის გამოყენების საჭიროებას სრულად გამორიცხავს. ფეხის ტერფის უმაღლესი წერტილის აღმნიშვნელად ქვემოიმერულში ახმი გვხვდება. მას საკმაოდ ხშირად ფენომენ და, ასასთანავე, ზუსტად და არაორაზროვნად გამოკვეთს აღსანიშნ ობიექტს. ზემოთ სალიტერატურაოდ მოყვანილი ბარბარიზმიანი ფრაზების ნაცვლად ქვემოიმერულში ამგვარად ქართულიტყვიანი კონტექსტები გვხვდება: „ახმში მეჭირეს ე ტუფელი და ვერ ეცეს“, „რამეხელა ახმი აქ ამ მაღლას“, „შენ დამალი ახმი გაქ, მიტო ჩაგდის ე ფეხსაცმელი“, „კაი ტუფელია, მარა თხელი შეკერილია, ახმში არ ჩამიგა“, „დიდი ფეხი კ'არ აქ ამ მაღლას, ახმი აქ დიდი, მიტო ვერ აცვე ფეხსაცმელს“.

ეს სიტყვა რომ მხოლოდ ქვემოიმერულის კუთვნილება ყოფილიყო, მისი ქართულობა და ამდენად სალიტერატურო ენაში ბარბარიზმის ნაცვლად ამ სიტყვის დამკვიდრების საკითხი არაუნებრივად მაინც არ გამოჩნდებოდა; მაგრამ შეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ახმი სხვა დიალექტშიც აღმოჩნდა, და მით უფრო [illegible] ფუძედ დიდად დამორებულ კუთხეში — ქიზიყში. ქიზიყურ მეტყველებაში ეს სიტყვა სტევარე მუნეშიშელს დაუფასტურებია და შეტანილიცა მის „ქიზიყურ ლექსიკონში“ (თბ. 1943); მნიშვნელობა აქაც აბსოლუტურად იგივეა, თუმც კი ავტორს ახმი ფეხის ზურგის სახელდებად მიუჩნევია, მაგრამ კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ იგულისხმება ფეხის ზურგის ხმაღლე: „ახმი — ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა. „ფეხსაცმელ დამალი (მაღალი) ახმი აქვს. მაღალახმიანი, (დაბალახმიანი) ფეკი აქვს“. აქედან ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც გადავიდა, სადაც მითითებულია მისი კუთხურობა: „ახმ-ი (ახმისა) კუთხ. (ქიზ.) ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა (ს. ᲛᲔᲜᲐ.)“.

ამ შემთხვევაში ყოველგვარ გაფელვაზე, ეფექრობთ, საუბარი ზედმეტი იქნება. დიალექტები, რომლებშიც ეს მონაცემები დასტურდება, იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად, რომ ერთიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა, ეფექრობთ, უნდა გამორიცხოს. ერთი დიალექტი დასავლურ დიალექტია ეკუთვნ მიეკუთვნება, მეორე კი— აღმოსავლური. ამიტომაც შეიძლება გაჩნდეს ფიქრი ამის თაობაზე, რომ ეს ერთეული საერთო ქართულის წიაღში იყო და შემდგომ, დროთა მანძილზე ორივე მხარის დიალექტმა ერთგვარი მნიშვნელობით შემოინახა. ამგვარად ეს სიტყვა ამ ფორმით სხვა დიალექტია გამოცემულ ლექსიკონებში ვერ დავფასტურეთ, თუმცა არ გამორიცხავს ის, რომ იგი სხვა დიალექტებშიც არსებობდეს.

ამდენად, ახმი, როგორც ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილი ანუ, სხვაგვარად, ფეხის ზურგის ხმაღლე თავისი სემანტიკით ზუსტი შესატყვისია რუსიციზმისა „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“. ახმი ისევე კონკრეტულად წარმოაჩენს აღსანიშნ ობიექტს, როგორც ენისათვის მიუღებელი ბარბარიზმი. აქედან გამომდინარე, მისი დამკვიდრება სალიტერატურო ქართულში და შემდგომ ქართულ მეტყველებაშიც, ეფორებთ, სასურველი უნდა იყოს. მაგრამ ენას თავისი კანონები აქვს. იგი თავად ქმნის თავის ლექსიკურ მარაგს. ენის ნორმალურ მდინარეობაში ჩარევა ერთობ ძნელია, მაგრამ არაერთხელ ყოფილა იმის მაგალითიც, როცა ენის წიაღში თავშესახული სიტყვა გამოუმზეურებია ერთეულ ადამიანებს და შემდეგ იგი საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვად ქცეულა. ჩვენ ამგვარი თამამი განზრახვა არა გვაქვს, მაგრამ მორიდებული სურვილი მაინც გვაქვს, დიალექტის ეიწრო ჩარჩოებიდან გამოვიტანოთ სალიტერატურო ენისათვის საჭირო ერთეული და დავამკვიდროთ გაფრცელებული ბარბარიზმის ნაცვლად.

ᲜᲘᲜᲝ ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲭᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ - 70

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; გულათის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი; არაერთი სამეცნიერო თუ სპეციალიზებული საბჭოს წევრი— ასეთია ბატონი ზურაბ ჭუმბურიძის არასრული ტიტულატურა. ბატონი ზურაბი 20-ზე მეტი წიგნის ავტორია. მათ შორის არის გამორჩეული მეცნიერული ლირიულების მქონე გამოკვლევებიც („მეოთხედი ქართველურ ენებში", „ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი"...) და მეტად პოპულარული ნაშრომებიც (სამგზის გამოცემული „რა გქვია შენ", „დედაენა ქართული"...).

30 ივნისს ბატონ ზურაბს 70 წელი უსრულდება. ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა იუბილარს— თავის ერთ-ერთ აქტიურ და მარად სახურველ ავტორს.

ზურაბ ჭუმბურიძე, მზეკალა შანიძე, აკაკი შანიძე, იან ბრაუნი. 1976 წ.

— ბატონო ზურაბ, ცნობილია, რომ სტუდენტობისას უნივერსიტეტის ასალგაზრდა მწერალი წრის წევრი იყავით. მოღვაწეობის ასპარეზად კი ენათმეცნიერება აირჩიეთ. რამ განსაზღვრა ასეთი არჩევანი?

— ჯერ დავიუსტეტ: წევრი კი არა, წრის თავმჯდომარეც კი გახლდით. ეს ალბათ, უფრო ჩემმა წესრიგის მოყვარულობამ განაპირობა. თავმჯდომარეს უხდებოდა ბევრი ასეთი სამუშაოს შესრულება, რასაც სხვები, მაგალითად, ნოდარ დუმბაძე და არჩილ სულაკაური, არაფრად დაგიდევდნენ.

სხვა ამბავია თავად წრეში მოხვედრა. ლეკსებს ბავშვობიდანვე ვწერდი. ჩემი პირველი ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ნორჩ ლენინელში", სადაც ლიტმუშაკად ლადო ასათიანი მუშაობდა. ლექსს „ჩემი სოფელი" ერქვა. მასში ნათქვამი იყო, რომ ბოჩოლა დედისაკენ გარბოდა „შავი თვალების ბრიალით". ეს სტრიქონი ლადოს განსაკუთრებით მოეწონა.

რაც შეეხება ენათმეცნიერებას, აქ, ვფიქრობ, უფრო საინტერესო ისტორიაა: უნივერსიტეტში გეოლოგიის სპეციალობაზე ჩავირიცხე. რეკტორმა დამრთო ნება, რომ პარალელურად ეკსტერნად შეგარეშინა გამოცდები ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსზე ორივე სპეციალობაზე გადავედი. მორფოლოგიის ვიბარებდი დოცენტ სტეფანე ჩხენკელთან. აკაკი შანიძის მწკრივის თეორია იმ დროისათვის ახალი ხალი იყო. მე მაინცდამაინც კარგად არ ვიცოდი და ჩავეჭერი. მეორედ რომ გავედი, გამოცდაზე სრულიად შემთხვევით შემოვიდა ბატონი ვარლამ თოფურია. მას მოეწონა ჩემი პასუხი და ენის განხრით სწავლის გაგრძელება მირჩია. ასე აღმოვჩნდი კავკასიური ენების განყოფილებაზე. ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ, სხვათა შორის, ყოფმანით მიმიღო და ასეთი დავალება მომცა: ზაფხულში უნდა წამეწერა ჩემი სოფლის შევენახეობის და პეტეულის ლექსიკა. თემა წავიკითხე წრის სხდომაზე, შემდეგ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. ჩემი ნაშრომით ბატონი ნიკო კეცხოველიც დაინტერესდა. როცა კონფერენციის შედეგები შეაჯამეს, პირველი პრემიით დამაჯილდოვეს.

ასპირანტურაში ბატონ აკაკი შანიძესთან აღმოვჩნდი. საკანდიდატო დისერტაციის თემაც მან შემირჩია: „სვანური ენის ლენტეხური კილოს ფონეტიკური თავისებურებანი".

— თქვენ მოღვაწეობის კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი სფერო გაქვთ— ტექსტოლოგია. ეს ვიცის. უნდა „დავპარალოთ".

— 1954 წლის 9 მარტის შემდეგ დაიწყო უნივერსიტეტის შევიწროება. თუ ნიკო კეცხოველის დროს ყოველწლიურად 1000 კაცს იღებდნენ, ეს რიცხვი 600-მდე დავიდა. ამას მოჰყვა შტატების შემცირება, რაც ჩვენს კათედრასაც შეეხო. კათედრაზე სულ 5 წევრი ვიყავით— აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, ივანე იმნაიშვილი, ლევან კალანძე და მე. ცხადია, შემცირება ჩემზე უნდა გავრცელებულიყო. გადაძყვანეს ხახეკარ შტატზე. სწორედ ამ დროს გაჩნდა ლიტერატურის ინსტიტუტში ახლად შექმნილი ტექსტოლოგიის განყოფილებაში ჩემი მიღების შესაძლებლობა. აქ რამდენიმე წელი ვიმუშავე. სწორედ ამ დროს გამოიცა, გიორგი ლეონიძის რედაქტორობით, ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, მე პირველი ტომი მოვამზადე გამოსაცემად.

ალბათ, ეს გაახსენდა ბატონ გიორგი ცაცანაშვილს, როცა 80-იან წლებში, ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობა შემომთავაზა. ამ დროს აქ გამოსაცემად მზადდებოდა ილიას თხზულებათა ოცტომეული. ხუთი ტომი გამოვიცეთ და, გასაგები მიზეზების გამო, გავწერდით. აკაკის თხზულებათა თვრამეტტომეულიდან კი მხოლოდ პირველი გამოვიდა.

— ისე უნივერსიტეტს დაუბრუნდეთ.

— როცა სიტუაცია, ღვთის წყალობით, უკეთესობისაკენ შეიცვალა, ბატონმა აკაკიმ ისევ მიმიწვია უნივერსიტეტში. მას შემდეგ ძველი ქართული ენის კათედრას აღარ მოვცილებივარ.

— თქვენ წლების განმავლობაში ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრი ბრძანდებოდით. ხოლო დროს კი კომისიის შემადგენლობაში თქვენი გვარი აღარ ფიგურირებს. რით ახსნება ეს?

— ეტყობა, ეს კომისია იმდენად ელიტარულად მიიჩნიეს, რომ თანამდებობებს გამოკიდნენ და პრაქტიკოსი ენათმეცნიერები „დაავიწყდათ". უფრო ზუსტად, მხოლოდ რამდენიმე გაახსენდათ. რაც შემეხება მე, ალბათ, ჩათვალეს, რომ ჩემი აქ ყოფნა საჭირო აღარ არის. რა გაგწყობა: მოძალადე არასოდეს ვყოფილვარ.

არ მომწონს ის, რომ ამ კომისიას ორად გაყოფს უპირებენ. როგორც ამბობენ, ერთი ნორმების დამდგენი იქნება, მეორე კი— შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი. ვფიქრობ, ეს არარეალურია.

— თქვენი აზრით, რა მდგომარეობაა დღეს ქართული ენის სალიტერატურო ნორმების დაცვის თვალსაზრისით?

— პირდაპირ ვიტყვი: საშინელი მდგომარეობაა! ასეთი ვითარება კომუნისტურ ეპოქაში კი არა, ალბათ, მეფის რუსეთის ხანაშიც არ ყოფილა. სრული განუკითხაობაა პრესაში, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „თავისუფალ გაზეთებში". აქ შეხვდებით ენის ყველაზაირ დამახინჯებას, ზოგჯერ წინადადებებიდან აზრს საერთოდ ვერ გამოიტან, აღარაფერს ვამბობ სასვენი ნიშნების არასწორ გამოყენებაზე ან სრულ უგულველყოფაზე. ცალკე თემაა ჩვენს პრესაში განაღებული ლანძღვა-გინება, უშვერი, მართლაც და უეცხზერო სიტყვების ხმარება.

— და ამის პარალელურად ჩნდება მეტად საშიში ტენდენცია: არაპუბლიკაციური პროფილის სასწავლებლებში, და არა მარტო იქ, უკვე საკმაოდ ხდება ქართული ენის სწავლების აუცილებლობის.

— სხვათა შორის, სამედიცინო ინსტიტუტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში და სხვაგან ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები კომუნისტური მმართველობის ეპოქაში შეიქმნა, ბატონი გიორგი ჭიბლაძის მინისტრობის დროს. მაშინ მე სამინისტროსთან არსებული ქართული ენის მეთოდსაბჭოს ვხელმძღვანელობდი.

რა გამოდის? — ავადსახსენებელ ტოტალიტარულ ეპოქაში უფრო მეტად ვზრუნავდით მშობლიურ ენაზე, ვიდრე დღეს, როცა, ავად თუ კარგად, დამოუკიდებლები გავხდით. ეს მეტად სამწუხაროა.

— ბატონო ზურაბ, მოგეხსენებათ, ჩვენს გაზეთს აქვს ანკეტა. რომლის თემა ასეთია: ენა და მწერალი. გვინდა, თქვენ ერთ-ერთ შეკითხვას უსასუხოთ: თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით ენის თვალსაზრისით?

— გამოვარჩევდი რევაზ ინანიშვილის ქართულს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ენის არაჩვეულებრივი გრძნობა, ფრაზის ბუნებრივი აგებულება, მდიდარი ლექსიკა. თითქოს, ჩვეულებრივ სიტყვებს იყენებს, ამ დროს ზოგიერთი თვითონ შემოაქვს ენაში. საწყლდაბალად ერთი მოთხრობა მახსენდება: დათვები წისქვილში შეიპარნენ. მწერალი ამბობს, სამუცლავი ეპოვნენო. ნახეთ, როგორი სიტყვაა მოძებნილი.

— და ბოლო შეკითხვა: რას ნიშნავს ენა მწერლისთვის და, საერთოდ, ყოველი ჩვენგანისთვის?

— მე არ ვიტყვი, რომ ენა მწერლისთვის ყველაფერია, მაგრამ სხვა დანარჩენი რომ ჰქონდეს — ნიჭიც, ოსტატობაც — უხვერი ენით შორს ვერ წავა. ასეა საერთოდაც: ენის გარეშე ის „ყველაფერი" არაფერია...

დასასრული მე-13 გვ.

აღიარება

გურამ თოფურია — არნოლდ ჩიქობავას პრემიის ლაურეატი

1922 წელს დასტამბული ნ. ტრუბეცკოის ნაშრომი „ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმოვნები" იწყება ა. მეიეს ციტირებით: ისტორიული ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა „კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შექმნა". ეს ინტერესი კი ა. მეიეს აღუძრა ნ. მარის ბროშურის „იაფეტური კავკასიის" გაცნობამ. თვით ნ. ტრუბეცკოი თავის ნაშრომს თელიდა პირველ ნაბიჯად ასეთი გრამატიკის შექმნის გზაზე და მართებულად დასძენდა, მისი დაწერის წინაპირობაა ამ ენათა შედარებითი ფონეტიკის დამუშავება, რასაც ბუნებრივად მოჰყვება სათანადო მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევაც.

აქ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ არა ერთი საკითხი: იმ დროს მთის ყველა იბერიულ-კავკასიური ენა არ იყო გამოკვლეული და, რაც იყო, არც თუ ყველა სათანადოდ და გამოწვლილვით. ამიტომაც არნ. ჩიქობავამ ადრევე ივარაუდა (1923-24 წ.წ.) და შედარებით მოგვიანებით (1942 წ.) დააკონკრეტა, რომ „მთის კავკასიურ ენათა ისტორიის შესწავლისათვის ძირითადი საშუალებაა **შედარება**. ეს შედარება დაწყებულ უნდა იქნეს **ცალკეული ენის კილოებით**, შემდეგ გავრცელდეს **ცალკეულ ჯგუფის ენებზე** და დამთავრდეს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის შედარებით. ფონეტიკა, ლექსიკის, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურას შედარებისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს". ეს პრინციპულად უფრო ადეკვატური აღმოჩნდა იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე იდგა და დღესაც დგას.

დღეს, როცა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფია ამ თვალსაზრისით შესწავლილი, ბუნებრივია, შეუდარებლად უფრო მეტია ენობრივი მასალა ისეთი ფუნდამენტური პრობლემის დასამუშავებლად, როგორიცაა, მაგალითად, დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა. სწორედ ასეთი გრამატიკის დიდი ნაწილია წარმოდგენილი გურამ თოფურიას მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში", რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრიფით 1995 წელს დასტამბა გამომცემლობა „მეცნიერება" (გამოცემის სპონსორია ბონის უნივერსიტეტის პროფესორი კ.ჰ. შმიდტი).

ამ მონოგრაფიისათვის გ. თოფურიას წელს მიენიჭა არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია.

გ. თოფურია იბერიულ-კავკასიურ ენათა ცნობილი სპეციალისტია; სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს მის ცალკეულ გამოკვლევებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მორ-

ჩერქეზეთის გზაზე. 1979 წ.

ფოლოგიის სფეროში, რომლებიც დაბეჭდილია როგორც ჩვენში, ასევე სხვაგან— საზღვარგარეთის არაერთ სამეცნიერო ცენტრში. ასე რომ, გ. თოფურიას ეს მონოგრაფია მისი მრავალწლიანი წარმატებული შრომის ნაყოფია.

ქვემოთ წიგნის ორ არსებითს მომენტზე შეეჩერდებით.

1. მონოგრაფიაში ყველა დაღესტნური ენაა (სულ 26) სისტემატური დაკვირვებისა და განზოგადების საგანი. ეს დღემდე შექმნილ არც ერთ ნაშრომში არ ყოფილა ამრიგად წარმოდგენილი (თუ არ ჩავთვლით ორიოდე ლექსიკოლოგიურ ნაშრომს), თუმცა, ტრუბეცკოიდან მოყოლებული, არაერთი გამოკვლევა არსებობს დაღესტნურ ენათა ფონეტიკასა და მორფოლოგიაში.

ამდენად, გასაგებია ასეთი საილუსტრაციო მასალაზე დამყარებული დასკვნა-განზოგადებათა მნიშვნელობა.

2. თავის დროზე არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი უღვლილების სამი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასიკურ აღმოჩენათა რიგში დგას. ცნობილია, რომ ჩვენს ენებში კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიული ურთიერთმიმართების დადგენით ამ ენათა მორფოლოგიის არაერთი კარდინალური საკითხი მართებულად გადაწყდა.

გ. თოფურიას მონოგრაფიაში წამოყენებული **ერთი დებულება პრინციპულად არნ. ჩიქობავას აღნიშნული დებულების შემოქმედებითი განვითარება და გაგრძელებაცაა** — დაღესტნურ ენებში ბრუნებისას იგივე ტენდენცია მეღავნდება, რაც უღვლილებისას ზმნაში: **კლასოვანი ბრუნება იცვლება არაკლასოვანით**, ძირითადად, **ნაცვალსახელოვანი ბრუნებით** (შდრ. ზმნაში კლასების მიხედვით უღვლილება ნაცვალსახელოვანი ელემენტებით ნაწარმოებმა პიროვანმა ფორმებმა შეცვალა).

არნ. ჩიქობავას ინტერესთა სფეროში ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგი შედიოდა — აქ შექმნა მან არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი, მაგრამ მაინც, მისი ღვაწლი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის შექმნაში განუზომელია. ამიტომაც ამ სფეროში შექმნილი ისეთი სოლიდური და მრავალმხრივ პერსპექტიული ნაშრომისათვის, როგორიც გ. თოფურიას მონოგრაფიაა, არნ. ჩიქობავას სახელობის პრემიის მინიჭება არა მარტო უპრიანია, არამედ კანონზომიერიც.

ბენანდი ბურჭულაძე

იუბილე

ენის გარეშე ყველაფერი არაფერია

შეთორმეტე ყვერდიდან

აუცილებელი გაბრძოლება: როცა ბატონ ზურაბს ინტერვიუსთვის ეკუთვნეთ, მის ოჯახში ცნობილი პოლონელი ქართველოლოგი და მასკოლოგი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი იან ბრაუნი დაგეხვდა. წყენ ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და ბატონ იანს ერთადერთი კითხვით მივმართეთ: — როგორ შეაფასებდით მასკოლოგიის თანამედროვე მდგომარეობას?

მეცნიერმა პასუხი შორიდან დაიწყო და გატაცებით გვაამბო მასკოლოგიის მთელი ისტორია. მის ნაამბობს გამჭვალავდა მასკური და ქართული ენებისადმი უსაზღვრო სიყვარული. ერცელ მოსათხრობს ბატონმა იანმა დასძინა: „ჰაპოთეზას მასკური და ქართველური ენების ნათესაობის შესახებ არაერთი მკვლევარი იზიარებს. ზოგიერთი კი ეჭვით უყურებს.მე მხოლოდ იმათი პოზიცია მაკვირვებს, ვინც მასკურ ენას არ იცნობს და ქართულთან მის ნათესაობას იხე უარყოფს. ღრმად მწამს: მოვა დრო, როცა ქართველი ერი სრულად გაიცნობიერებს იმას, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე, ესპანეთის და საფრანგეთის მასკეთში, მისი მონათესავე ხალხი ცხოვრობს. პოლონელი ხალხის ისტორიაც ძალიან ჰგავს თქვენსას, მაგრამ მასკეთან თქვენი ნათესაობა სულ სხვაა — აქ ენობრივი ნათესაობა ეშატება. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

●

P.S. სხვათა შორის, ბატონი იანიც ო�olarია, თანაც ბატონი ზურაბ ჭუმბურიძის თანატოლი: მას 70 წელი 18 მაისს შეუსრულდა. ვეღოცავთ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მეგობარს ამ „ღარსშესანშნავ თარიღს, ვუსურვებთ დღეგრძელობას და წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზზე.

●

კიდევ ერთი აუცილებელი მინაწერი:

პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძისა რა ხარ? — შეკითხვიან, როცა ჩვენს გვარს გაიგებენ ხოლმე.

არაფერი, — ვუპასუხებ მე და შემდეგ საკუთარ თავზე ვბრაზობ. არადა ეს ხასიათდება: ბატონი ზურაბი რომ გაეცანი, უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. მაგრამ მთავარი ხომ სულ სხვაა: ბატონი ზურაბი ჩემთვის ისეთივე ძვირფასი და პატივსაცემი პიროვნებაა, როგორც უნივერსიტეტის სხვა არაერთი პროფესორი, რომელთაც ჩემს ხულში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. ამიტომაც შემიძლია, ამ ინტერვიუს თამამად მოვაწერო ხელი:

იოსებ ჯუმბურიძე

რა ენა წახდეს...

«მიმალვაში იმყოფება» და სხვა...

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ქართული არაერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი, კანონშემოქმედების არაერთ „რებუს-შედეგრზეც“ ბევრი დაწერილა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ... ის კი არა, ტელე-რადიო საინფორმაციო გამოშვებების მსმენელთათვის (ე.ი. თითქმის მთელი საქართველოსათვის!) ლამის ნორმად იქცეს ასეთი ქართული: „სახელმწიფო სტრუქტურებში ხდება მოდერნიზმი“, „დიახ, სპეცსამსახურები ფლობენ სიტუაციას“, „გადაწყვიტეს მათმა“, „მოგებულ თანხას ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე ინაწილებდნენ“, „ჩვენს ქვეყანას საუკეთესო მომავალი ექნება, თუ დროულად შეძლებს საქმის საკუთარ ხელში აღებას“, „ამჟამად მიმალვაში იმყოფება“, „ძებნაში იმყოფება“, „გაქცევაში იმყოფება“ და მისთანანი.

ისმენს ამ ინფორმაციას ქილა-სალამოს მსმენელი პატივცემული მინისტრების, მინისტრთა მოადგილეების, სამმართველოებისა და უწყებების ხელმძღვანელთაგან და, რადგან „განმეორება ცოდნის დედაა“, იხედნება ყური. დიახ, უმეტეს შემთხვევაში მათი მეტყველება მართლაც ნიმუშია, ოღონდ ნიმუში იმისა, როგორ არ უნდა ვიმეტყველოთ.

იქნებ მიექცეს ამას საგანგებო ყურადღება და ჯეროვანი შეფასება, რადგან სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ დედაენის ღირსებისა და უფლების დაცვა არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭიროა, ვიდრე დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლა.

მანანა ჩაჩანიძე

აი, ისტორია

აფხაზეთთან დაკავშირებული ჩანართები ჯუანშერის მატიანეში

მეოთხე გვერდიდან

ნიებოდა ტექსტის სომხურად თარგმნამდე, ამ სახელის კიდევ სამჯერ გამეორება და ციხეგოჯის ჩამატება უფრო მოგვიანო დროის რედაქტორის ნახელავია. „აფხაზეთი“ თავდაპირველ ტექსტში საკუთრივ აფხაზეთის აღმნიშვნელი იქნებოდა „აფხაზეთის მხარეები“ კი, ალბათ, აფშილეთსა და აბაზგიას გულისხმობდა.

XII საუკუნის მეორე ნახევარზე გვიან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ სომხურად თარგმნის შემდეგ უნდა იყოს ჩასწორებული აგრეთვე ის ადგილიც, სადაც მოთხრობილია ვახტანგ გორგასალსა და ბერძენ იმპერატორს შორის გამართული მოლაპარაკების შესახებ. ქართულ ტექსტში წერია: კეისარმა „— მოუწოდა ვახტანგს და ყველ ურთიერთას აღთქმა და ფიცი; განაგეს საქმე წინდობისა (იგულისხმება ვახტანგის ქორწინება კეისრის ასულ ელენეზე— თ.გ.), და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა: ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანამდე და ხევნი, რომელნი მოსდგმანან ღადოთა. და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრისნყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა, ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობიგან (ალექსანდრე მაკედონელის დროიდან — თ.გ.), რომელ ან შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. ან იგი უკუ მოგუეც და ოდეს ნარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე მისგან ქუეყანა“. და დაუნერა ეგრისნყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითევად, და სხუა აფხაზეთი უკუსცა ბერძენთა ვახტანგ“ (ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 119).

ეს ცნობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რადგან მის საფუძველზე სპეციალისტები ეგრისნყალსა (ღალიძგასა) და კლისურას (მდ. კელასურს) შორის მოქცეულ ტერიტორიას V საუკუნის აფხაზეთის შემადგენლობაში შემავალ მინა-ნყლად მიიჩნევენ ყოველგვარი ეჭვმანის გარეშე (რუკათა უმრავლესობაზეც ასე აღნიშნება). სინამდვილეში კი ეს ცნობა აშკარად ნაყალბევია და ქართულ ტექსტში შეტანილია მხოლოდ XII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ, რადგან იგი სულ სხვა სახით არის წარმოდგენილი სომხურ თარგმანში. საქმე ის არის, რომ თარგმანში საერთოდ არ იხსენიება არც აფხაზეთი, არც ეგრისნყალი და არც კლისურა, გეოგრაფიულ სახელთაგან მხოლოდ თუღარისი (თუხარისი) და კლარჭეთი (კლარჯეთი) დასტურდება: „...შეპფიცეს ერთმანეთს. მისცა კეისარმა თუღარსი და კლარჭეთი, რომლებიც ნაერთმიათ ქართველთათვის, ალუთქა, მიეცა თავისი ქალი ვახტანგისათვის“ (სომხ. თარგმ., გვ. 168). სომხური თარგმანის მონაცემთა გარდა, ტექსტის გვიანდელ სნორებაზე ისიც მიუთითებს, რომ ინტერპოლატორი აშკარად თავის თანამედროვე ვითარებას გულისხმობს, როცა „აფხაზეთის“ შესახებ წერს: „ქუეყანა ზღუის პირისა, რომელ არს აფხაზეთი“-ო. V საუკუნის რეალობას არ შეესაბამება არც მდინარე ყუბანის სახელწოდებად „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ შესიტყვების გამოყენება ქართულ ტექსტში (რომელიც ასევე არ დასტურდება სომხურ თარგმანში), ვინაიდან V საუკუნეში ხაზარეთი ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ანასეულ ნუსხაში ეგრისნყალსა და კლისურას შორის მდებარე ტერიტორია სხვაგანაც იხსენიება (ანასეული ქც. გვ. 140), მაგრამ ეს ადგილიც არ დასტურდება სომხურ თარგმანში (სომხ. თარგმ. გვ. 186-187). თუ ამ შემთხვევაში დასახელებული ტერიტორია არ ინოდება აფხაზეთად, მის ნინა ყველზე (ანასეული ქც. გვ. 139) ამ მინა-ნყალს კვლავ „აფხაზეთი“ ექვია. კერძოდ, ვახტანგს სიკვდილის წინ თავისი ვაჟისათვის — დაჩისათვის თითქოს უთქვამს: „შენ ხარ პირმშო შეილი ჩემი და შენდა მიმიცემია გუირგუინი მეფობისა ჩუენისა, და ნანილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წონდოვგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისნყალსა და კლისურასა შუა, იგი ძმათა შენთა დედისა (ძმათა შენთა და დედისა— MB) არს და იგი აჟუნდეს მათ, და იყუნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა“ (ანასეული ქც, გვ. 139). სომხურ თარგმანში ეს ადგილი ძალზე მოკლეა და მასში არც აფხაზეთზეა ლაპარაკი, არც ეგრისნყალზე და არც კლისურაზე: „მოკვდა ვახთანგი, (დაუგდო) მრავალი დარიგება თავის შვილს დაჩეს, რომელსაც მისცა მეფობა...“ (სომხ. თარგმ., გვ. 186).

მაშასადამე, საესებით ცხადია, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანის მატიანის ტექსტი პირვანდელი სახით არ არის მოღწეული ჩვენამდე. მას ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდია XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნემდე, ანუ ტექსტის ძველსომხურად თარგმნიდან ანა დედოფლისეული ნუსხის შექმნამდე. ჩანს, ტექსტი ერთსა და იმავე პირს უსნორებია. უფრო მიახლოებით იმის თქმაც შეიძლება, რომ რაკი ნასნორებ ადგილებში ტერმინი „აფხაზეთი“ ყველაზე ხშირად გულისხმობს თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოს, რედაქტირება, შესაძლოა, მომხდარიყო მას შემდეგ, რაც მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფო კვლავ გაიყო ორ სამეფოდ— აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ.

თეიმურაზ გვანცელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ქართველოლოგთა სიმპოზიუმი — „ძუთაისური საუბრები — III“

„ქუთაისური საუბრები-III“ (ქართველოლოგია სიმპოზიუმი) გაიმართა 1996 წლის 3-4 მაისს, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და არქეოლოგიის სპეციალისტებმა — საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმა; სიმპოზიუმის მასალებში წარმოდგენილი იყო მონოგრაფიული და ლუნდის უნივერსიტეტების თანამშრომელთა მოხსენებები.

მოხსენებებში გაანალიზებული იყო ქართველოლოგიური პრობლემები თავისთავად და ზოგად-კავკასიური თუ ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

სიმპოზიუმმა მიიღო მემორანდუმი, რომელშიც სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ორი ასეთი პუნქტია:

1. ეთხოვოს საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენს სახელმწიფოში განათლების სისტემის სახელმწიფო კონცეფციისა და პროგრამის, საგანმანათლებელი კანონმდებლობის, ზოგადად, კანონიერი სამართლებრივი ბაზისის შექმნაზე შეაერთოს სამეცნიერო ლიტერატურის მქონე კომერციულ სასწავლო დაწესებულებათა, მათ უმეტეს, უცხოენოვანი უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირება.

2. ეთხოვოს გამომცემლობებს, წარმოებადწესებულებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (რადიო, ტელევიზია, პრესა), რომ მეტი პატივისცემითა და საჭირო ყურადღებით მოეკიდონ ქართული სალიტერატურო ენის კონსტიტუციური უფლებებისა და ნორმების დაცვას.

სიმპოზიუმის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები დაიბეჭდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია

1996 წლის 28-31 მაისს გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავს. სესიაზე მუშაობდა რამდენიმე სექცია: ქართულ-კავკასიური ენებისა; ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორისტიკის; ერთიანი ლიტერატურათმცოდნეობა და თარგმანის; კლასიკური ფილოლოგიის; სლავური ენებისა და რუსული ლიტერატურის.

სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები დაიბეჭდა.

გამოთხოვება

კლარა გაგუა

ჩვენო კლარა! მახსოვს ის განცდა, რაც ჩვენ, შენს მეგობრებსა და პატივისცემლებს დაგვეუფლა. ვერ გაგვიგია, თუ როგორ შეიძლება უდროოდ შეწყდეს სიცოცხლე მჭეფარე ენერგიის, მუდამ სიკეთით დამუტტული ადამიანისა, ვისაც მოყვასზე და სამშობლოზე ფიქრის გარეშე ერთი დღეც, ერთი საათიც არ უცხოვრია.

მახსოვს ხენსა დაიჭრა შენი არსება, მაგრამ მაინც ვერ წარმოგვედგინა, რომ შენისთანა კეთილ და სიცოცხლის მოყვარულ ადამიანს ასე ადვილად მოკვლეოდა სიკვდილი.

შენს სიცოცხლეს ხანგრძლივი არ ეოქმნა, მაგრამ მაინც შესანიშნავი ნიშნეულებანი ქართულ ენათმეცნიერებაში. შენი ხელოვნებიდან გამოსული ყოველი სამეცნიერო ნაშრომი ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებითა და შრომისმოყვარეობით არის აღბეჭდილი.

ალალმართალი და გულმხურვალე ადამიანი იყავი... უტყუარი ალალითა და შენთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით იცავდი შენს საზოგადოებრივ მრწამსს. გულნაკლული წახედი ამ ქვეყნიდან, შეწუხებული საქართველოს ბედ-იღბლით.

სიცოცხლის ბოლო დღეებში შენს სანახავად მოსულ ახლობლებს შენი ტკივილითა და განცდებით კი არ აწუხებდი, არამედ ღონეშეზდილი, კეთილი ღიმილით ხვდებოდი მათ და ლოცავდი... სიკვდილსაც ღირსეულად შეხვდი, როგორც მაღალი და მტკიცე სულის ადამიანს შეეფერის...

ოჯახისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარულში დაიხარჯა და დაილია შენი შინაარსიანი სიცოცხლე...

ღვთისმა სასუფეველი დაგიმკვიდროს ცათა შინა!...

ეაძა შენგელია

ფიქრია მაკალათია

ზარდამცემია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორის, ტოპონიმიკის ლაბორატორიის ერთი თვალსაჩინო სულისჩამდგმელის, ამავე ლაბორატორიის წამყვანი სპეციალისტის — ფიქრია მაკალათიას — სიკვდილი. სწორედ ფიქრია მაკალათიას — არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ივანე გიგინეიშვილის, ფარნაოზ ერთელიშვილის ღირსეულ მოწაფეს— ერგო წილად, გამზდარიყო პირველი ქართველი დოქტორი ქალი ონომასტიკაში. ფიქრია მაკალათიას გვერდით მოღვაწეობა— ეს ერთი დიდი სკოლის გავლის ტოლფასია.

„თუკი სიამაყეს გმატებს ადამიანს რაიმე, შეუძლებელია, არ განგაცდევინოს სიამაყე იმან,რომ შენს გვერდით არის, შენს ლხინსა და ჭირს საკუთარ განცდად იღებს და სიყვარულის კალთას გაფარებს— ფიქრია მაკალათია!“ — ასე ვიწყებდი ამ მილოცვის წერილს, რომლის გამოქვეყნება შენი 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით (7 ივნისი) მქონდა განზრახული. ვაგლახ, რომ არ აღსრულდა. მარადისობაში გადასულმა უფრო მწარედ გვაგრძნობინე უშენობა.

ფიქრია მაკალათია! — ეს სახელი იტევს იმ ფიზიკურ სილამაზეს, ამაყ სულსა და მეცნიერულ სიმაღლეს, შენ რომ გამეობდა. შენი ყოველი საჭარო გამოსვლა — ეს საჩვენებელი გაკვეთილი იყო აუდიტორიის წინაშე წარდგომის მაღალი კულტურისა, მეცნიერული აღლოს გამოვლენისა, დახვეწილობისა და მჭევრმეტყველებისა.

სიცოცხლით, ხალისით სავსე, შენი ნაშრომების გამოცემის სურვილით აღტკინებული და ამ საქმეს უკვე შეჩიდებული, რა ადვილად დამორჩილდი სიკვდილს! ეს არ იყო შენი მეობისთვის ნიშანდობლიები, მაგრამ, ალბათ, თავად უფალმა არ ინება ამ ცოდვილ მიწაზე აღგენიშნა შენი დაბადების 60 წელი. მეცნიერების, ოჯახის, მეგობრებისა და მამის წინაშე ვალმოხდილი, ცათა სასუფეველში შეეგებები ამ ლამაზ თარილსა და ჯვარცმული ქრისტეს ამაღლებას.

გვემშვიდობები, მაგრამ შენი ნათელი სახე, შენი აჩრდილი არასოდეს დატოვებს უნივერსიტეტის იმ ოთახს, რომელსაც შენ საუკუნის მეოთხედი ამშვენებდი, რომელიც შენ ასე ძალიან გიყვარდა.

შენს პატარა შვილიშვილებს საამაყოდ დარჩებათ შენი, როგორც ღირსეული მოჭალაქის, მეცნიერის, პედაგოგის— პროფესორ ფიქრია მაკალათიას სახელი. შენს მეგობრებს კი ისევ დაგვრჩენია, გითხრათ: შენი წასვლის შემდეგ ჩვენთან „დარი არ დარობს დარულად“.

ქეთევან ბოდორკოშვილი



უცნაური ლექსი,

ანუ რა საჭიროა წერტილი და მძიმე

ვნახე გოგო პატარა. თეთრი ქუდი ეხურა
აივანზე შემომჯდარ პაწაწინა ბელურას.
კოხტა ფრთები შვენოდა ბაღში
ლოკოკინას.
. მოეკიდა ზურგზე საკუთარი ბინა
ყოყლოჩინა ყვინჩილას. ეკრა ოქროს დეზები
-კალმახს. უკან დასდევდნენ ათასფერი თევზები
მინდვრად ხარებს. გოგო მიდენიდა წყნარად...
უცნაური ლექსი დავამთავროთ, კმარა.

* * *

დავსვათ თავის ადგილზე წერტილი და მძიმე,
წაიკითხეთ ხელახლა, აღარ გაიცინებთ.

* * *

ვნახე გოგო პატარა, თეთრი ქუდი ეხურა,
აივანზე შემომჯდარ პაწაწინა ბელურას
კოხტა ფრთები შვენოდა,
ბაღში ლოკოკინას მოეკიდა ზურგზე საკუთარი ბინა;
ყოყლოჩინა ყვინჩილას ეკრა ოქროს დეზები,
კალმახს უკან დასდევდნენ ათასფერი თევზები,
მინდვრად ხარებს გოგო მიდენიდა წყნარად...
უკვე დროა, ლექსი დავამთავროთ, კმარა.

* * *

ჰოდა, არ დაივჯეროთ, თუკი გითხრათ ვინმემ,
არ არისო საჭირო წერტილი და მძიმე.

ვახტანგ გოგოლაშვილი



საწყისი ასოების მიხედვით ზემოდან ქვემოთ, ვერტიკალურ სვეტებში, ჩასვით ქართველი მწერლების გვარები და ნახეთ, რას მიიღებთ მუქი ხაზებით აღნიშნულ ჰორიზონტალურ რიგში.

პასუხები

წინა ნომერში დაბეჭდილ კროსვორდზე: ბორბალა, ლაშარი, ავხუში, ხახმატი, მაოური, პასკისი, როშკა, გუდანი, ლული.

ყველაზე

დიდი წიგნი

მსოფლიოში ყველაზე დიდი წიგნია „სუპერწიგნი", რომლის ზომაა 2,74X3,07მეტრი, ხოლო წონა — 252,6 კილოგრამი. წიგნი შედგება 300 გვერდისაგან. გამოცემულია 1976 წელს კ. დენვერში (აშშ შტატი, კოლორადო)

პატარა წიგნი

ყველაზე პატარა წიგნი (1X1 მილიმეტრი) „მოხუცი მეფე კოული", დაიბეჭდა 1985 წლის მარტში შოტლანდიაში. ტირაჟი სულ 85 ეგზემპლიარს. შეადგენს; წიგნის გადაფურცვლა შესაძლებელია მხოლოდ ნემსის წვერის მეშვეობით.

მოკლე გვარები

ყველაზე მოკლე გვარი, რომელიც შედგება ერთი ასოსაგან — ო (O), გავრცელებულია კორეაში. აშშ-ის სატელეფონო ცნობარში ეს გვარი გვხვდება 52-ჯერ.

ერთასოიანი გვარები რეგისტრირებულია აგრეთვე ინგლისის სოცუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის დეპარტამენტში. ესენია „A", „B", „J", „N", „X".

გავრცელებული გვარი

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული გვარია ჩან, რომელსაც ატარებს ჩინური მოსახლეობის 12 . ეს შეადგენს დაახლოებით 104 მილიონ კაცს.

ყველაზე